



გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეაქტივა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ



UN for
Persons with
Disabilities
in Georgia



UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

კრებული მომზადდა გაერთიანებული ერების (UN) ერთობლივი პროგრამის – სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში – ფარგლებში. პროგრამის მხარდამჭერია მდგრადი განვითარების მიზნების ფონდი (SDG Fund).

I. გაეროს უზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის პრაქტიკა

გაეროს კონვენცია უზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ¹ (კონვენცია) მიღებულ იქნა 2006 წელს და ძალაში შევიდა 2008 წელს. საქართველომ კონვენციის რატიფიცირება 2014 წლის 13 მარტს მოახდინა. კონვენციაში გათვალისწინებულია შშმ პირთა უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპები და ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები. კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტთა შემადგენლობით - უზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (კომიტეტი) შეიქმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი პერიოდული ანგარიშების განხილვა და დასკვნითი რეკომენდაციების გამოცემაა. კონვენციასთან ერთად ხელმოსაწერად და რატიფიკაციისთვის აგრეთვე მისი დამატებითი ოქმი გაიხსნა, რომელშიც გათვალისწინებულია კომიტეტის უფლებამოსილება მიიღოს და განიხილოს კომუნიკაციები² ინდივიდებისგან ან ჯგუფებისგან, მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების და უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. საქართველომ დამატებითი ოქმის ხელმოწერა მოახდინა 2009 წლის 10 ივლისს. მოცემული მიმოხილვის მომზადების დროისთვის რატიფიცირება არ მომხდარა.

კომიტეტს, დამატებითი ოქმის შესაბამისად აქვს კომუნიკაციის განხილვის უფლებამოსილება, თუ ამოწურულია სამართლებრივი დაკმაყოფილების ყველა შიდა საშუალება; არ არის ანონიმური; მომჩივანი ბოროტად არ იყენებს კომუნიკაციის უფლებას; განსახილველი საკითხი არ იხილება სხვა საერთაშორისო საგამოძიებო ან მომრიგებელი მექანიზმის მიერ; არსებითად დასაბუთებულია და განსახილველი ფაქტები მოხდა მოცემული ოქმის მოპასუხე ქვეყნისთვის ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ. კომიტეტი, უფლებების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს ინდივიდუალურ და სისტემურ/ზოგად რეკომენდაციებს, რაზეც შესაბამისი რეაგირების თაობაზე ინფორმირების ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ.

ქვემოთ მიმოხილულია კომიტეტის მიერ ინდივიდუალური საჩივრების განხილვის შედეგად დადგენილი გადაწყვეტილებები. აღნიშნული სტრუქტურირებულია კონვენციაში გაწერილი უფლებების შესაბამისად, თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, კომიტეტი, უმრავლეს შემთხვევაში, ერთად იხილავს კონვენციის რამდენიმე მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხს. ჩვენ ასეთი საქმეები პირობითად მივაკუთვნეთ **წამყვან** უფლებას და თავისუფლებას კონკრეტულ საქმეში. თუმცა ამავე, კონვენციის **წამყვანი** მუხლის, ქვეთავში განხილულია კონვენციის სხვა მუხლების შესაძლო დარღვევის საკითხიც.

1 იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities.html>.

2 ფორმალურად კომიტეტი იხილავს „კომუნიკაციას“ „ავტორის“ მხრიდან, მოცემული კვლევის მიზნებისთვის ჩვენ გამოვიყენებთ „საქმეს“ და „მომჩივანს“.



● *H.M. შვედეთის წინააღმდეგ (2012)*³

თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხზე, კომიტეტმა გონივრული მისადაგების კონტექსტში იმსჯელა, საქმეში - H.M. v. შვედეთის წინააღმდეგ. მოცემულ საქმეში, მომჩივანი ასაჩივრებდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მისთვის ჰიდროთერაპიული აუზის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარს. უარი ეფუძნებოდა ქალაქის განვითარების გეგმასთან წინააღმდეგობის არგუმენტს. აუზს უნდა ჰქონოდა რეაბილიტაციის დანიშნულება მომჩივანის მძიმე ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რაც გამოწვეული იყო მძიმე დაავადებით.

კომიტეტმა შეისწავლა საჩივარი კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია შეიძლება დადგინდეს იმ შემთხვევაშიც, თუ კანონი გამოყენებულია ნეიტრალური ფორმით, მაგრამ მხედ-ველობაში არ იღებს კონკრეტული პირის სპეციალურ საჭიროებებს: **„კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის უფლება შეიძლება დაირღვეს სახელმწიფოს მხრიდან, როდესაც რაიმე ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე, ის არ ახდენს იმ პირების განსხვავებულ მოპყრობას, რომლებიც არსებითად განსხვავებულ სიტუაციაში არიან“**.⁴

კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად იგი იცავს პირებს ყველა ფორმის დისკრიმინაციისგან, მათ შორის **გონივრული მისადაგების** გამოუყენებლობის შემთხვევაში. კონვენციის მე-2 მუხლი **გონივრულ მისადაგებას** განმარტავს როგორც: **„...ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს არაპროპორციულ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას“**.

მოცემულ საქმეში კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე არგუმენტი იმისა, რომ მომჩივანისთვის **გონივრული მისადაგების** პრინციპის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის მიცემა რაიმე „არაპროპორციულ ან შეუძლებელ სირთულეს“ შექმნიდა. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული თანასწორობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება.

თანასწორობის უფლების გარდა, კომიტეტმა აგრეთვე შეაფასა **კონვენციის ჯანმრთელობისა (25-ე მუხლი)** და **რეაბილიტაციის უფლებების (მე-26 მუხლის)** დარღვევის საკითხიც. კომიტეტის შეფასებით, მოცემულ საქმეში, სახელმწიფომ მომჩივანის და

3 H.M. v. Sweden, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 3/2011, 21 May 2012, CRPD/C/7/D/3/2011.

4 H.M. v. Sweden, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 3/2011, 21 May 2012, CRPD/C/7/D/3/2011, p. 8.3.



კონკრეტულად კი მისი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სპეციალური გარემოებები არ მიიღო მხედველობაში, როდესაც უარი უთხრა მას მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. შესაბამისად, კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფოს ქმედება დისპროპორციული იყო და შედეგად გამოიწვია დისკრიმინაციული გავლენა მომჩივანის ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის უფლებებით სარგებლობის კუთხით. შესაბამისად, მოცემულ უფლებებთან მიმართებითაც დადგინა კონვენციის დარღვევა.

აგრეთვე, კომიტეტმა მოცემულ საქმეში იმსჯელა, რამდენად ქონდა ადგილი კონვენციის **მე-19 მუხლის (დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლება) შესაძლო დარღვევას**. კომიტეტის შეფასებით: „**მომჩივანს, მშენებლობის ნებართვაზე განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით, წაერთვა მისაწვდომობა ჰიდრო თერაპიაზე, რაც გახლდათ მისი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის მხარდაჭერის ერთადერთი შესაძლებლობა**“. შესაბამისად, კომიტეტის შეფასებით დაირღვა კონვენციის მე-19 მუხლიც.

- **გემა ბიზლი ავსტრალიის წინააღმდეგ (2016)⁵**

საქმეში - **გემა ბიზლი ავსტრალიის წინააღმდეგ**, კომიტეტმა განიხილა სმენადაკარგული პირის მონაწილეობის საკითხი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში. კერძოდ, მომჩივანი გახლდათ ავსტრალიაში მცხოვრები სმენის არ მქონე პირი და ესაჭიროებოდა ავსტრალიური ჟესტური ენა (**Auslan**) სხვებთან კომუნიკაციისთვის. 2012 წელს, მომჩივანი ნაფიც მსაჯულად იქნა გამოცხადებული ადგილობრივი შერიფის მიერ და მიუხედავად იმისა, რომ მან გამოხატა თანხმობა და სურვილი პროცესში მონაწილეობაზე მას უარი ეთქვა ჟესტური ენის თარჯიმნით უზრუნველყოფის მოთხოვნაზე. მიზეზად დასახელდა ის, რომ კანონმდებლობით ეს შესაძლებლობა გათვალისწინებული არ იყო, დამატებითი ხარჯების გაწევა შეუძლებელი იყო და არსებობდა ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების დარღვევის რისკი.

მომჩივანმა, უპირველეს ყოვლისა, კომიტეტს სთხოვა კონვენციის მე-5 მუხლის (**თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**) დარღვევის დადგენა, რადგან ხელისუფლების ორგანოებმა, ნაფიც მსაჯულთა პროცესში მისი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არ მოახდინეს შესაბამისი **გონივრული მისადაგება**. კომიტეტმა აღნიშნა რომ კონვენციის მიხედვით **გონივრული მისადაგება** გულისხმობს აუცილებელ და შესაბამის მოდიფიკაციას და ცვლილებას, რათა შშმ პირებმა შეძლონ ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სხვა პირებთან თანასწორად, რაც არ გულისხმობს სახელმწიფოთათვის არაპროპორციული ან შეუსრულებელი ტვირთის დაკისრებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები სა-

5 Gemma Beasley v. Australia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 11/2013, 25 May 2016, CRPD/C/15/D/11/2013; აგრეთვე იხილეთ მსგავსი საქმე **Michael Lockrey ავსტრალიის წინააღმდეგ** (Michael Lockrey v. Australia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 13/2013, 30 May 2016, CRPD/C/15/D/13/2013), რომელიც აგრეთვე ეხებოდა სმენის არმქონე პირის მიერ ნაფიც მსაჯულთა პროცესში მონაწილეობას; კომიტეტმა დაადგინა კონვენციის მე-5, მე-9, 21-ე, მე-13 და მე-13-29 (ერთად) მუხლების დარღვევა; აგრეთვე **J.H. ავსტრალიის წინააღმდეგ (J.H. v. Australia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 35/2016, 20 December 2018, CRPD/C/20/D/35/2016)** რომელიც აგრეთვე ეხებოდა სმენის არმქონე პირის მიერ ნაფიც მსაჯულთა პროცესში მონაწილეობას; კომიტეტმა დაადგინა კონვენციის მე-5 და 21-ე მუხლების დარღვევა.

რგებლობენ მოქმედების გარკვეული თავისუფლებით, მისადაგების ღონისძიებების გონივრულობის და პროპორციულობის შეფასება სრულყოფილად და ყველა ელემენტის დეტალური შესწავლის შემდეგ უნდა განხორციელონ. კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლი რადგან არ უზრუნველყო **გონივრული მისადაგება**: სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე მონაცემები ან ანალიზი, რომელიც დაასაბუთებდა რომ Auslan ენის გამოყენება იქნებოდა ზედმეტად რთული, გაზრდიდა სასამართლო პროცესის ხარჯებს და ვადას; მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება უნდა ყოფილიყო დაცული, სახელმწიფომ არ წარმოადგინა რაიმე არგუმენტაცია რომ შეუძლებელი იყო რაიმე მისადაგება, ასე მაგალითად ჟესტური ენის თარჯიმნისთვის მოსამართლის წინაშე სპეციალური ფიცის დადების დავალდებულება.

მოცემულ საქმეში კომიტეტმა, აგრეთვე დაადგინა მომჩივანის მიმართ კონვენციის მე-9 (**მისაწვდომობის უფლება**), 21-ე (**აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მისაწვდომობა**) და მე-13-29-ე ერთად (**მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა**) მუხლების დარღვევა. მე-13 და 29 მუხლებთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა არ ექცეოდა მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლების ფარგლებში, კომიტეტმა, კონვენციის მოცემული მუხლების შინაარსისა და ავსტრალიის სამართლებრივ სისტემაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლის გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულად ყოფნა სრულად მიიჩნია კონვენციით გათვალისწინებულ სამართლებრივ პროცესში მონაწილეობის უფლებად.

- *V.F.C. ესპანეთის წინააღმდეგ (2019)*⁶

საქმე -**V.F.C. ესპანეთის წინააღმდეგ**, შეეხებოდა ესპანეთის მოქალაქის საჩივარს, რომელიც გახლდათ ბარსელონაში ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელი და ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად მიიღო დაზიანება და პერმანენტული მოტორული შეზღუდული შესაძლებლობა წარმოეშვა. შედეგად, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ მომჩივანი ცნო „პროფესიული საქმიანობის განხორციელების კუთხით პერმანენტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ.“ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მოცემული დასკვნის საფუძველზე, მომჩივანი დაექვემდებარა პენსიაზე სავალდებულო გასვლას და გაირიცხა ადგილობრივი პოლიციის ძალებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა მიმართა ბარსელონას ადგილობრივი ხელისუფლების საბჭოს მისთვის „მორგებული პასუხისმგებლობის“ დაკისრების თხოვნით, არსებული რეგულაციის საფუძველზე, ზემოთ მოცემული სტატუსის მინიჭების (და პენსიაზე სავალდებულო გასვლის) შემდეგ, მას უარი ეთქვა აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კომიტეტმა განიხილა მომჩივანის მოთხოვნა მასთან მიმართებაში დაედგინა კონვენციის მე-5 (**თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**) და 27-ე

6 V.F.C. v. Spain, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 34/2015, 29 April 2019, CRPD/C/21/D/34/2015.



(შრომისა და დასაქმების უფლება) მუხლების დარღვევა. მისი მტკიცებით, იგი განლდათ პირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რადგან მას მიენიჭა „**პერმანენტული სრული შეზღუდული შესაძლებლობის**“ სტატუსი, რამაც თავის მხრივ შეუზღუდა უფლება მისთვის მორგებული სამსახურის მისაწვდომობაზე.

კომიტეტმა მოცემული საქმის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კონვენციით აღიარებული **გონივრული მისადაგების** პრინციპზე, რომელიც, მათ შორის, ვრცელდება მუშაობის უფლებაზე და დასაქმებაზე. **გონივრული მისადაგების** პრინციპზე აგრეთვე არის პირდაპირი მითითება კონვენციის 27-ე მუხლში. კომიტეტი კვლავ იმეორებს, რომ **გონივრული მისადაგების** პრინციპი წარმოადგენს *ex nunc* ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს რომ მისადაგება უნდა განხორციელდეს იმ მომენტიდან, როდესაც შშმ პირს სჭირდება მისაწვდომობა მიუწვდომელ სიტუაციაში ან გარემოში, ან სურს განახორციელოს მისი უფლებები. ამის გათვალისწინებით, შესაბამისი ვალდებულების მქონე სუბიექტები უნდა ჩაერთონ დიალოგში შშმ პირთან, რათა ჩართონ იგი მისთვის მისი უფლებების რეალიზაციის საუკეთესო საშუალებების მოძიებაში. კომიტეტის შეფასებით, მოცემულ საქმეში, პენსიაზე გასვლის სავალდებულო მოთხოვნის გამო, რაიმე ტიპის დიალოგი მომჩივანის მიერ პოლიციის ორგანოებში საქმიანობის გაგრძელებისა და შესაბამისად, გონივრული მისადაგების განხორციელების კუთხით გამოირიცხა. მოპასუხე სახელმწიფომ, თავის მხრივ, ვერ აჩვენა, რომ არ არსებობდა სხვა ვალდებულებები/საქმიანობა რომელიც მომჩივანს, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეეძლო განეხორციელებინა შესაბამის პოლიციის ორგანოში.

კომიტეტის განცხადებით, გონივრული მისადაგების მოძიების პროცესი თანამშრომლობაზე დაფუძნებული და ინტერაქტიული უნდა იყოს. ამასთან, საჭიროა სწორი ბალანსის დაცვა დასაქმებულის და დამსაქმებელთა ინტერესებს შორის. გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას, მონაწილე სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ეფექტური ცვლილებების იდენტიფიცირება, რაც დასაქმებულს მისცემს საშუალებას განახორციელოს მისი ძირითადი ვალდებულებები. ხოლო, თუ ასეთი ღონისძიებები (რაც არ აკისრებს შეუძლებელ ტვირთს) ვერ იქნება იდენტიფიცირებული ან განხორციელებული, მომჩივანზე მორგებული ვალდებულებების დაკისრების შესაძლებლობა, როგორც გონივრული მისადაგება, უნდა იქნეს განხილული, როგორც ყველაზე უკიდურესი საშუალება. კომიტეტის შეფასებით, მომჩივანის შესაძლებლობა განეხორციელებინა მისი ძირითადი ვალდებულებები შემცირდა, თუმცა ეს არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო პოლიციის იგივე ორგანოში მის მიერ მოდიფიცირებული ვალდებულებების ან სხვა დამატებითი საქმიანობის განხორციელების პოტენციალის გამომრიცხავ ფაქტორად. ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, კომიტეტის შეფასებით ბარსელონას ხელისუფლების განხილული რეგულაცია არ იძლეოდა საშუალებას ინდივიდუალურად შეფასებულიყო მომჩივანის შესაძლებლობა გონივრული მისადაგების კუთხით, რათა მას განეხორციელებინა მოდიფიცირებული სამუშაო ან სხვა დამატებითი საქმიანობა. შესაბამისად კომიტეტის შეფასებით დაირღვა კონვენციის 27-ე მუხლი ცალკე და მე-5 მუხლი 27 მუხლთან კომბინაციაში.



● *F ავსტრიის წინააღმდეგ (2015)*⁷

საქმეში - F ავსტრიის წინააღმდეგ, კომიტეტმა განიხილა ავსტრიის მოქალაქის საჩივარი. მომჩივანი გახლდათ ავსტრიის ქალაქ ლინზის მაცხოვრებელი, შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, დაკარგული მხედველობის გამო. პირადი და საქმიანი მიზნებისთვის ის აქტიურად იყენებდა ადგილობრივ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, კერძოდ კი ელექტრომატარებელის ქსელს (მის მესამე ხაზს), რომლის მფლობელი იყო ქალაქის თვითმმართველობა. მოცემულმა კომპანიამ დაიწყო მისი სადგურების აღჭურვა ელექტრონული აუდიო სისტემით, რომელიც ახდენდა ტექსტობრივი ინფორმაციის გახმოვანებას შესაბამის მონიტორზე ხელის დაჭერით და მხედველობის არმქონე პირებს აძლევდა საშუალებას მოძრავი მატარებლების შესახებ რეალურ დროში მიეღოთ ინფორმაცია. მომჩივანი აქტიურად იყენებდა აღნიშნულ სისტემას გადაადგილებისთვის. როდესაც მოცემულმა კომპანიამ გააფართოვა თავისი ქსელი, მესამე ხაზზე აღნიშნული აუდიო სისტემის დამონტაჟება არ მომხდარა და რეალურ დროში მოძრავ მატარებლებზე ინფორმაცია მარტო ვიზუალურად ფიქსირდებოდა - ეკრანზე. შესაბამისად, მესამე ხაზის გაჩერებებზე მომჩივანს არ მიეცა საშუალება, სხვა მგზავრებთან თანასწორად, რეალურ დროში მიეღო ინფორმაცია მოძრავ მატარებლებთან დაკავშირებით. მომჩივანმა დაიწყო მოლაპარაკება ზემოაღნიშნულ კომპანიასთან ავსტრიის შშმ პირთა თანასწორობის აქტის საფუძველზე, რათა მოეხდინათ მესამე ხაზის გაჩერებებზე აუდიო სისტემის დამონტაჟება, თუმცა, მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. მომჩივანმა შესაბამისი სასარჩელო წარმოება წამოიწყო ადგილობრივ სასამართლოში, თუმცა, სასამართლოს შეფასებით, აუდიო სისტემის არ არსებობა არ უქმნიდა მომჩივანს ბარიერს კომუნიკაციის თვალსაზრისით და არც დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა.

ადგილობრივი მექანიზმების ამოწურვის შემდეგ მომჩივანმა მიმართა კომიტეტს და სთხოვა კონვენციის მე-5 (**თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**) და მე-9 (**მისაწვდომობის უფლება**) მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ მსჯელობა.

კომიტეტის შეფასებით, **მისაწვდომობა** დაკავშირებულია ჯგუფებთან, როდესაც **გონივრული მისადაგება** უკავშირდება ინდივიდებს. რაც გულისხმობს იმას, რომ მისაწვდომობის ვალდებულება თავის არსში გულისხმობს **ex ante** ვალდებულებას. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ მისაწვდომობა, მანამ, სანამ მიიღებენ ინდივიდუალურ მოთხოვნას სივრცეში შესვლასა თუ სერვისის მიღებაზე. მისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება უპირობოა. ასე მაგალითად, სუბიექტი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მისაწვდომობა, ვერ გაიმართლებს თავს მისი დიდი ტვირთის გამო.

კომიტეტი მიუთითებს ელექტრონული ტექნოლოგიის დიდ მნიშვნელობაზე შშმ პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების და კომუნიკაციის უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა, მოცემული ტექნოლოგიების დიზაინი ისე უნდა შეიქმნას, რომ ხელი შეუწყოს შშმ პირების მისაწვდომობას. კომიტეტის შეფასებით, მოცემულ საქმეში მატარებ-

⁷ F v. Austria, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 21/2014, 21 September 2015, CRPD/C/14/D/21/2014.



ლების მესამე ხაზზე არსებული ვიზუალური ინფორმაცია დამატებითი ხასიათის არის და მომხმარებელს რეალურ დროში აწვდის ინფორმაციას მოძრავ მატარებლებზე, თუმცა, ის წარმოადგენს არსებული სატრანსპორტო სერვისის ნაწილს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემულ სერვისზე მისაწვდომობის თანასწორობის შეფასება მხედველობის არმქონე პირებსა და სხვა პირებს შორის. კომიტეტის შეფასებით, რადგან არ არსებობდა მომჩივანისთვის მოცემული ინფორმაციის მიღების სხვა ალტერნატივა, მატარებლების ქსელის გაფართოების დროს აუდიო სისტემის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია სხვა პირებთან თანასწორად მისაწვდომობის შეზღუდვა საჯაროდ ღია ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე, რესურსებზე და სერვისებზე და შესაბამისად დაირღვა კონვენციის მე-5 და მე-9 მუხლები.

- *იულია დომინა და მაქს ბენდტსენი დანიის წინააღმდეგ (2018)⁸*

საქმეში - *იულია დომინა და მაქს ბენდტსენი* დანიის წინააღმდეგ, კომიტეტმა განიხილა *ოჯახის გაერთიანების* პრინციპის დაცვის საკითხი კონვენციის მე-5 (*თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა*) და 23-ე (*საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემა*) მუხლებთან მიმართებაში. მომჩივანი იულია დომინა გახლდათ უკრაინის, ხოლო მომჩივანი მაქს ბენდტსენი დანიის მოქალაქე. ისინი დაქორწინდნენ 2013 წელს და 2015 წელს ეყოლათ ვაჟი. ბატონ ბენდტსენის 2009 წელს ავტო-საგზაო ინციდენტის შედეგად ჰქონდა თავის ქალის დაზიანება და შესაბამისად იყო შშმ პირი. ამის საფუძველზე ის იღებდა სოციალურ დახმარებას 2009 წლიდან, რადგან მას არ შეეძლო საკუთარი თავის რჩენა მუშაობით. მომჩივანების მოთხოვნის მიუხედავად დანიის შესაბამისმა ორგანოებმა უარი უთხრეს ქალბატონ დომინასთვის ქვეყანაში ცხოვრების უფლების მინიჭებაზე. უარის თქმის საფუძველი გახლდათ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მომჩივანი იღებდა სახელმწიფოს მიერ სოციალურ დახმარებას ბოლო სამი წლის განმავლობაში. არსებული კანონმდებლობით, *ოჯახური გაერთიანების* საფუძველზე ცხოვრების უფლების გაცემა დაუშვებელია თუ ერთ-ერთი მეუღლე იღებს სოციალურ დახმარებას ბოლო სამი წლის განმავლობაში.

კომიტეტმა კონვენციასთან შესაბამისობის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა ყურადღება გაამახვილა მე-5 მუხლით დაცულ დისკრიმინაციის აკრძალვაზე და მიუთითა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე. არაპირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც კანონები, პოლიტიკის ინსტრუმენტები ან პრაქტიკა ერთი მხედვით ნეიტრალურია, მაგრამ აქვს არაპროპორციული ნეგატიური გავლენა შშმ პირებზე. განსახილველ საქმეში მომჩივანებს სახელმწიფო ორგანოებმა უარი უთხრეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის მიერ სოციალური დახმარების მიღება არ იყო დამოკიდებული მის ნებაზე (შეზღუდული შესაძლებლობების გამო), მათი შეფასებით, მას ქონდა გონივრული შესაძლებლობა სახელფასო მხარდაჭერის პროგრამის მეშვეობით ეპოვნა სამსახური. თუმცა, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, როდესაც მომჩივანებმა შეიტანეს განაცხადი ცხოვრების ნებართვის მისაღებად, ბატონი ბენდტსენი ჯერ არ იყო უფლებამოსილი სამსახურის მოძიებისთვის მიემართა სახელფასო მხარდაჭე-

8 Iuliia Domina and Max Bendtsen v. Denmark, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 39/2017, 21 December 2018, CRPD/C/20/D/39/2017.



რის პროგრამისთვის. ამასთან, აღნიშნულ მომენტში მომჩივანებისთვის და მათი შვილისთვის ოჯახური ერთიანობა პრიორიტეტი გახლდათ. მეტიც, მომჩივანის მიერ წარდგენილი განაცხადი სამსახურის გამოყოფასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა 2015 წელს, ხოლო ცხოვრების უფლებაზე უარი მათ მიიღეს ჯერ კიდევ 2013 წელს. კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ 2015 წელს, სამსახურის გამოყოფის განაცხადის დაკმაყოფილების შემდეგ, მომჩივანს კიდევ სამი წელი უნდა დაეცადა, მანამ, სანამ ის უფლებამოსილი იქნებოდა მოეთხოვა ოჯახური გაერთიანების პრინციპის საფუძველზე ცხოვრების უფლების გაცემა. შესაბამისად, კომიტეტის დასკვნით, მოცემულ საქმეში მოთხოვნამ, რომ მომჩივანს უნდა უზრუნველყო საკუთარი თავის რჩენა, რათა ესარგებლა ოჯახური ერთიანობის პრინციპით, მასზე, როგორც შშმ პირზე, არაპროპორციულად იმოქმედა და შედეგად იგი გახდა არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი. აგრეთვე, მოცემულმა მოპყრობამ შეუძლებელი მისი ოჯახური ცხოვრების უფლების სხვებთან თანასწორად სარგებლობა. შესაბამისად, კომიტეტმა მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის ცალკე და 23-ე მუხლთან ერთად დარღვევა.



● ბატონი X არგენტინის წინააღმდეგ (2014)⁹

საქმეში - ბატონი X არგენტინის წინააღმდეგ, კომიტეტმა იმსჯელა თავისუფლება-აღკვეთილი შშმ პირის მიმართ მისაწვდომობის უფლების, რეაბილიტაციასა და სხვა უფლებებით სარგებლობის საკითხებზე. მომჩივანს, რომელიც იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში, სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის დროს ჩაუტარდა ოპერაცია ხერხემალზე, რასაც მოყვა გარკვეული გართულებები და შემდგომში გაჟონვა, რამაც თავის მხრივ განაპირობა კომპლექსური ფიზიკური და კოგნიტური სირთულეები და გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობის ჩამოყალიბება.

მომჩივანის მოთხოვნის შესაბამისად, კომიტეტმა იმსჯელა მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების პირობებზე კონვენციის მე-9 (მისაწვდომობის უფლება) და მე-14 (პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) მუხლებთან მიმართებაში. კომიტეტმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობა და თავისუფლების აღკვეთის შეუსაბამო პირობები წარმოადგენს პირის ღირსების შელახვას და არაადამიანურ მოპყრობას. შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება ყველა ზომა გაატარონ, მათ შორის მოახდინონ მისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირება და მოხსნან ყველა დაბრკოლება, რათა თავისუფლებააღკვეთილმა შშმ პირებმა იცხოვრონ დამოუკიდებლად და სრულად მიიღონ მონაწილეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათი თავისუფლების აღკვეთის ადგილას; მოცემული დონისძიებები მოიცავს მათთვის მისაწვდომობის უზრუნველყოფას სხვადასხვა სივრცეებთან და სერვისებთან, როგორც არის ტუალეტები, ეზოები, ბიბლიოთეკები, სასწავლო სივრცეები, საბუშაო სივრცეები და სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული სერვისები, სხვებთან თანასწორად.

მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ წარმოადგინა მომჩივანი შშმ პატიმრის მოთავსების პირობების გაუმჯობესებისთვის გარკვეული დონისძიებების გატარების მტკიცებულება (მათ შორის ფიზიკური ბარიერების მოხსნა საკანში), კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფომ მაინც ვერ მოახერხა უდავო დემონსტრირება იმისა, რომ საპატიმროში გატარებულმა ცვლილებებმა საკმარისად უზრუნველყო მომჩივანის დამოუკიდებელი (შესაძლებლობის ფარგლებში) მისაწვდომობა ტუალეტთან და საშხაპესთან, რეკრეაციულ ეზოსთან და ექთნის სერვისთან. შესაბამისად, კომიტეტმა დაადგინა კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლების დარღვევა.

ზემოთ მოცემული დასკვნის საფუძველზე, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კომიტეტმა აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-17 მუხლის (პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა) დარღვევა.

9 Mr. X v. Argentina, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 8/2012, 18 June 2014, CRPD/C/11/D/8/2012.



ამასთან ერთად, კომიტეტმა იმსჯელა კონვენციის მე-15 (*წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლება*), 25-ე (*ჯანმრთელობის უფლება*) და 26-ე (*უფლება რეაბილიტაციაზე*) მუხლების შესაძლო დარღვევაზე. კომიტეტმა მიიჩნია, მე-15 მუხლის დარღვევის დასადგენად არ იყო წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება. რაც შეეხება, 25-26-ე მუხლების შესაძლო დარღვევას, მიუხედავად პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით კონვენციის სხვა მუხლების დარღვევისა, კომიტეტის შეფასებით, მომჩივანმა დარწმუნებით ვერ დაასაბუთა, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მოცემული მუხლების მოთხოვნებთან.

- *საიმონ ბეხერი ავსტრიის წინააღმდეგ (2018)¹⁰*

საქმეში - *საიმონ ბეხერი ავსტრიის წინააღმდეგ*, კომიტეტმა განიხილა სახელმწიფოზე კონვენციით დაკისრებული ვალდებულების შესრულების საკითხი მეზობლებს შორის კერძო დავაში. საჩივარი წარდგენილ იქნა ავსტრიის მოქალაქის მიერ მისი ძმის სახელით, რომელიც გახლდათ შშმ პირი - დაბადებიდან ჰქონდა დაუნის სინდრომი. მას ჰქონდა აუტიზმის სპექტრი და პერიოდულად სჭირდებოდა ეტლი გადასადგილებლად. მისი სამედიცინო მდგომარეობის გათვალისწინებით, მას ესაჭიროებოდა პერიოდული ვიზიტი სახლთან ახლოს არსებულ საუნივერსიტეტო კლინიკაში. მომჩივანი ცხოვრობდა ავსტრიის ქალაქ ვომპში სადაც მისმა ოჯახმა იყიდა სახლი 1983 წელს. მომჩივანსა და მის ორ მეზობელს სახლთან მისაწვდომობა ჰქონდათ მხოლოდ ბილიკით. მიუხედავად ადგილობრივი მერიის დაპირებისა, საავარიო მისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება არ შესრულდა. მომჩივანის ოჯახმა სახლთან მისასვლელად ააშენა ხის მისადგომი ბილიკი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ეტლით მიყვანა სახლამდე. თუმცა, ხშირი წვიმის პირობებში ხის მისადგომზე უსაფრთხოების რისკის გამო ოჯახმა მისადგომს ააშენა სახურავი. მოცემული სახურავის აშენებაზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა გასცეს შესაბამისი ნებართვა. ამის მიუხედავად, ერთ-ერთი მეზობლის საჩივრის შესწავლის შედეგად, სამართლო ორგანოებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება სახურავის მოშლის შესახებ. მრავალწლიანი დავის, მოლაპარაკებების უშედეგო მცდელობების და საზოგადოებრივი აქტიურობის მიუხედავად მომჩივანის ოჯახმა ვერ შეძლო მომჩივანისთვის უსაფრთხო და ეფექტური მისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქვეყნის მასშტაბით ყველა სამართლებრივი მექანიზმის ამოწურვის შემდეგ მომჩივანმა მიმართა კომიტეტს, რათა მას კონვენციით გარანტირებული მისაწვდომობისა და სხვა უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ ემსჯელა.

კომიტეტმა წარმოდგენილი საჩივრის შეფასების დროს აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დავა, რომელმაც გავლენა მოახდინა მომჩივან შშმ პირზე, წარმოიშვა კერძო პირის და არა სახელმწიფო ორგანოს ინიციატივით, კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ დავის გადაწყვეტაში სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები ჩაერთნენ, დავის გადაწყვეტის დროს, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულება სახელმწიფოზე ვრცელდება.

10 Simon Bacher v. Austria, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 26/2014, 6 April 2018, CRPD/C/19/D/26/2014.



თავისთავად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მთავარი მიზანია დაარეგულიროს შშმ პირთა ურთიერთობა სახელმწიფოსთან, მისი დებულებები თანაბრად ვრცელდება კერძო პირების ურთიერთობაზე.

კომიტეტის შეფასებით, კონვენციის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განახორციელონ **გონივრული მისადაგებისთვის** აუცილებელი ღონისძიებები. სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული მიხედულების ფარგლები, როდესაც აფასებენ გონივრული მისადაგებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გონივრულობას და პროპორციულობას. უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება შეაფასონ ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები კონკრეტულ საქმეში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი შეფასება ნათლად თვითნებურია ან წარმოადგენს მართლმსაჯულებაზე უარის თქმას. კომიტეტმა შეისწავლა საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ არ მომხდარა შშმ პირების ინტერესების დაცვა კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად. ხის ბილიკისთვის სახურავის დანგრევით, რომლის საშუალებითაც მომჩივანი მიდიოდა სახლამდე, არა მარტო სახლისკენ მისასვლელი გზა, არამედ მისთვის ყოველდღიურად აუცილებელ სოციალურ აქტივობებზე და საჯარო სერვისებზე, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვის სერვისები და სხვა, მისაწვდომობაც შეუზღუდა.

კომიტეტმა აგრეთვე იმსჯელა მომჩივანის შესაძლებლობაზე სასამართლოს გზით დაეცვა თავისი ინტერესები. საქმის გარემოებებიდან ჩანს რომ შესაბამისმა საოლქო სასამართლომ არ გაითვალისწინა შშმ პირის ინტერესები. მეტიც, მან მოცემული დავა საკუთრების უფლებასთან მიმართებაში ჩვეულებრივ სამეზობლო დავად განიხილა და აღნიშნა რომ სასამართლო განხილვას „არანაირი კავშირი არ ჰქონდა შშმ პირთა უფლებებთან“. შესაბამისად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ სასამართლოს მოცემული გადაწყვეტილება წარმოადგენს მომჩივანის მიმართ კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაზე - მართლმსაჯულებაზე უარის თქმას. შესაბამისად კომიტეტმა დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა.



● მარლონ ჯეიმს ნობლი ავსტრალიის წინააღმდეგ (2016)¹¹

საქმეში - **მარლონ ჯეიმს ნობლი ავსტრალიის წინააღმდეგ**, კომიტეტმა განიხილა ავსტრალიის მკვიდრი მაცხოვრებლის სარჩელი, რომელსაც ჰქონდა ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობა. მომჩივანი, 2001 წელს, 19 წლის ასაკში დააკავეს 13 წლის არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის და 13 და 16 წლის არასრულწლოვანებთან გარყვნილი ქმედების ბრალდებებით. დაკავების შემდგომ, რამდენჯერმე დადგა მისი ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის საკითხი და სასამართლოს მიერ იგი ცნობილ იქნა შეურაცხადად და ავსტრალიაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, განთავსდა შესაბამის (სისხლის სამართლის დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ისე რომ მას არ მიეცა უფლება წაყენებულ სისხლის სამართლის ბრალდებასთან დაკავშირებით დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. მომჩივანის თავისუფლების შეზღუდვის პერიოდში რამდენჯერმე მოხდა მის შერაცხალობასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა. ჯამში, მომჩივანმა თავისუფლების აღკვეთის ადგილას, დანაშაულისთვის ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებთან ერთად გაატარა 10 წელი და 3 თვე მანამ, სანამ არ მოხდა მისი პირობით გათავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის მიმართ წაყენებული ბრალდება ითვალისწინებდა ერთ ბრალდებაზე - 20, ხოლო მეორეზე 7 წლიან საპატიმრო სასჯელს, მომჩივანის მტკიცებით, არსებული პრაქტიკით, მას რეალურად ემუქრებოდა 2-დან 3 წლამდე პატიმრობა.

კომიტეტმა, მომჩივანის თხოვნით, უპირველეს ყოვლისა განიხილა საქმე კონვენციის მე-5 მუხლთან (**თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**) მიმართებაში. მომჩივანის განცხადებით ავსტრალიის ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბრალდებულთა აქტი დისკრიმინაციულად გამოიყენებოდა მხოლოდ ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და ითვალისწინებდა მათ უკადო თავისუფლების აღკვეთას ისე, რომ არ ხდებოდა მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი ბრალდების დამტკიცება. ხოლო, პირები რომლებსაც ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობა არ ჰქონდათ დაცულები იყვნენ მსგავსი მოპყრობისგან და მათ მიმართ უზრუნველყოფილი იყო სამართლიანი სასამართლოს უფლება და პროცესუალური უფლებები. კომიტეტმა, მოცემულ საკითხზე მსჯელობის დროს ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, გამიზნულია თუ არა ასეთად, კანონს შესაძლებელია ჰქონდეს დისკრიმინაციული ეფექტი, და შუამ პირებზე არაპროპორციულ გავლენას ახდენდეს. კომიტეტის შეფასებით, მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას, რადგან მომჩივანზე გავრცელებული (ზემოთ მოცემული აქტის საფუძველზე) მოპყრობით, რამდენიმე წლის განმავლობაში, მას სრულად წაერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლება და არ მიეცა საშუალება დაცული ყოფილიყო და სრულად ესარგებლა კანონით.

11 Marlon James Noble v. Australia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 7/2012, 10 October 2016, CRPD/C/16/D/7/2012.



კომიტეტმა აგრეთვე იმსჯელა მომჩივანის მიერ კონვენციის მე-12 (**კანონის წინაშე სამართალსუბიექტად აღიარების უფლება სხვებთან თანასწორად**) და მე-13 (**მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება**) მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საკითხზე. კომიტეტის შეფასებით, მომჩივანს ინტელექტუალური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო წაერთვა შესაძლებლობა ესარგებლა სამართალსუბიექტურობის უფლებით, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ბრალდებასთან დაკავშირებით (უდანაშაულოდ ეცნო თავი) და გაეპროტესტებინა მის წინააღმდეგ წარდგენილი მტკიცებულებები. სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით რაიმე აღეკატურ მხარდაჭერას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მას არ მიეცა შესაძლებლობა გაეარჩა მისი, როგორც სექსუალური მოძალადის სტატუსი. კომიტეტი ცნობს სახელმწიფოთა უფლებას იმოქმედონ გარკვეული მიხედულების ფარგლებში (**margin of appreciation**), რათა დაადგინონ შშმ პირების მიერ საკუთარი სამართალსუბიექტობის განხორციელების პროცედურული რეგულაციები, თუმცა ამ დროს დაცული უნდა იქნეს აღნიშნული პირების პროცესუალური უფლებები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტმა დაადგინა კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების დარღვევა.

ამასთან, კომიტეტმა იმსჯელა, კონვენციის მე-14 (**პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება**) და მე-15 (**წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლება**) მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე. კომიტეტის შეფასებით, ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის დარღვევას, რადგან **მომჩივანის თავისუფლების აღკვეთა გადაწყდა სახელმწიფო ორგანოთა მიერ, მისი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების პოტენციური შედეგების შეფასების საფუძველზე ისე, რომ ადგილი არ ჰქონია მის მსჯავრდებას სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობა გადაიქცა მისთვის თავისუფლების შეზღუდვის მთავარ საფუძვლად.**

კომიტეტმა აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-15 მუხლის დარღვევა მომჩივანის მიმართ, რადგან იგი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არაერთხელ განდაძლადობის და შევიწროების მსხვერპლი. იგი თავისუფლებააღკვეთილი იყო 13 წელზე მეტი ხნით ისე, რომ მას არ ჰქონდა პატიმრობის დასრულების შესახებ ინფორმაცია. კომიტეტის შეფასებით, ასეთი „უვადო თავისუფლების აღკვეთა“ უმძიმესი ფსიქოლოგიური ეფექტის მატარებელია და უთანაბრდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

● ბორის მაკაროვი ლიეტუვას წინააღმდეგ (2017)¹²

საქმეში - ბორის მაკაროვი ლიეტუვას წინააღმდეგ, კომიტეტმა განიხილა მომჩივანის - ბორის მაკაროვის საჩივარი მისი გარდაცვლილი მეუღლის სახელით. 2005 წელს, მომჩივანის მეუღლემ ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად მიიღო მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის, თავის ტვინის დაზიანება, რაც გადაიზარდა ქრონიკულ თავის ტკივილში და სხვა შეზღუდულ შესაძლებლობებში. 2011 წელს, მგომარეობის გაურესების

12 Boris Makarov v. Lithuania, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 30/2015, 5 October 2017, CRPD/C/18/D/30/2015.



შემდეგ, მომჩივანის მეუღლე გარდაიცვალა. ავტო-საგზაო შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება და ბრალი წარედგინა V.M.-ს. მომჩივანის მეუღლეს არ ჰქონდა საშუალება უშუალოდ მოეთხოვა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობაზე და მას პროაქტიულადაც არ მიაწოდეს ინფორმაცია გამოძიების დასრულებამდე. სასამართლო განხილვის დროს, მიუხედავად მოსამართლისთვის მომჩივანის მეუღლის მოთხოვნისა, სასამართლო პროცესის დროს ჩართვის უზრუნველყოფის შესაბამისი ღონისძიებები არ გატარებულა. მომჩივანს არ ჰქონდა საშუალება აეყვანა ადვოკატი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ მას უფასო ადვოკატი დაუნიშნა, მომჩივანის თქმით, იგი პროცესზე არ გამოცხადებულა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს მსუბუქი სასჯელი (ჯარიმის სახით) დაენიშნა (რადგან არ დადგინდა საგზაო ინციდენტსა და შემდეგომ ჯამრთელობის გართულებას შორის მიზეზობრივი კავშირი), მომჩივანს და მის მეუღლეს არ ეცნობათ და მომჩივანმა სასამართლოს კანცელარიიდან მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, როდესაც გასაჩივრების ვადა გასული იყო.

კომიტეტმა მომჩივანის თხოვნით განიხილა კონვენციის მე-12 **(კანონის წინაშე სამართალსუბიექტად აღიარების უფლება სხვასთან თანასწორად)** და მე-13 **(მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება)** მუხლების შესაძლო დარღვევის საკითხი. მოცემული საკითხის განხილვის დროს, კომიტეტმა დადგენილად ჩათვალა, რომ მომჩივანის ცოლს არ ქონდა საშუალება მონაწილეობა მიეღო სასამართლო განხილვებში მისი შეზღუდული შესაძლებლობების გამო. შესაბამისად, იგი არ იყო წარმოდგენილი პროცესზე მიუხედავად სამართლებრივი წარმომადგენლობის შესახებ მისი მოთხოვნისა. როგორც კომიტეტმა სხვა საქმეებში აღნიშნა, სახელმწიფოებს გააჩნიათ ფართო მიხედულების ფარგლები შშმ პირების მიერ მათი სამართალსუბიექტობის აღსრულებისთვის პროცედურული მექანიზმების განსაზღვრისას. თუმცა, ამ პირთა შესაბამისი უფლებები დაცული უნდა იქნეს, რასაც, კომიტეტის შეფასებით, არ ჰქონია ადგილი განსახილველ საქმეში მომჩივანის მეუღლის მიმართ, რომელიც გახლდათ მომხდარი ინციდენტის პირდაპირი მსხვერპლი. ასევე, ნათელია რომ მომჩივანის მეუღლეს სურდა მისი პოზიცია მოსმენილიყო სასამართლო პროცესზე, მაგრამ რაიმე ტიპის მხარდაჭერა ამ მიმართულებით მას არ გაუწიეს. კერძოდ, მან ვერ შეძლო შეზღუდული შესაძლებლობების გამო სასამართლო პროცესებზე უშუალოდ დასწრება, მოთხოვნის მიუხედავად სამართლებრივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არ მოხდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო **გონივრული მისადაგება** და დაირღვა კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლები.



● *Y ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ (2018)¹³*

მოცემული საქმე ეხება მომჩივანს ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკიდან. ის და მისი ძმა გახლდნენ პირები ალბინიზმით. ამის გამო, ისინი ოჯახმა უარყო და იზრდებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მზრუნველობის ქვეშ. მომჩივანი გახდა მრავალი ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი: ჯერ კიდევ 11 წლის ასაკში უცნობმა პირმა მას თავი გადაპარსა; როდესაც ის 12 წლის იყო მას მარჯვნივ თავს დაესხნენ და მოკვითეს მარჯვენა ხელის სამი თითი და დაუზიანეს მარჯვენა მხარი. მოცემული თავდასხმები არ იქნა გამოძიებული კომპეტენტური ორგანოების მხრიდან ექვსი წლის განმავლობაში. მიღებული დაზიანებების გამო მომჩივანს შეექმნა სირთულეები სკოლაში სწავლის დროს. სახელმწიფომ არ უზრუნველყო რაიმე რეაბილიტაციის ან მხარდაჭერის პროგრამა.

მომჩივანის განცხადებით ალბინიზმის მქონე პირები 200,000-მდეა მის ქვეყანაში და ისინი მუდმივი დევნის და ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. 2000 წლის შემდეგ (საჩივრის შეტანამდე - 2014), ალბინიზმის მქონე პირთა 72 მკვლელობიდან მხოლოდ 5 იქნა ეფექტურად გამოძიებული. ძალადობის აქტებზე ეფექტური რეაგირების არ არსებობამ, გამოიწვია ამ კუთხით დაუსჯელობა და განაპირობა ალბინიზმის მქონე პირთა დევნა, დისკრიმინაცია და მკვლელობები. ძალადობა და ფიზიკური თავდასხმები ალბინიზმის მქონე პირების მიმართ ეფუძნება მოცემულ ქვეყანაში მყარად გამჯდარ მითებს/ცრუ რწმენებს, რომელთა მიხედვით, ალბინიზმის მქონე პირთა სხეულის ნაწილები უზრუნველყოფენ სიმდიდრეს და კეთილდღეობას. ამ მითებმა განაპირობეს ალბინიზმის მქონე პირთა სხეულის ნაწილების ყიდვა-გაყიდვა შავ ბაზარზე. ბავშვები განსაკუთრებულად ხდებიან თავდასხმის ობიექტები, რადგან მიიჩნევიან უმწიკვლო სულის მატარებლად და მათი სხეულის ნაწილები მიიჩნევა განსაკუთრებული ძალის მატარებლად.

კომიტეტმა განიხილა რა მომჩივანის მოთხოვნები და სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, უპირველეს ყოვლისა აღნიშნა, რომ კონვენციის პირველი მუხლი შშმ პირთა შორის მოაზრებს გრძელვადიან ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული შეზღუდვების მქონე პირებს, რომლებიც სხვადასხვა ბარიერებთან ურთიერთქმედებაში, სხვებთან თანასწორად საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულ და ეფექტურ მონაწილეობაში, აწყდებიან სირთულეებს. ამის გათვალისწინე-

13 Y v. United Republic of Tanzania, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 23/2014, 30 October 2018, CRPD/C/20/D/23/2014. იხილეთ აგრეთვე, X ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ (X v. United Republic of Tanzania, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 22/2014, 5 October 2017, CRPD/C/18/D/22/2014;), რომელიც შეეხებოდა აგრეთვე ალბინიზმის მქონე პირის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის გამო პირდაპირი დისკრიმინაციის და არაადამიანური მოპყრობის ფაქტს და კომიტეტმა დაადგინა კონვენციის მ-5, მე-15 და მე-17 მუხლების დარღვევა.



ბით, კომიტეტი აუცილებლად თვლის, რომ აღნიშნოს, რომ ალბინიზმი ექვევა კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდული შესაძლებლობების დეფინიციას.

კონვენციის მე-15 მუხლთან (**წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლება**) მიმართებაში კომიტეტმა განიხილა მოცემული საჩივარი და დაადგინა დარღვევა, რადგან მომჩივანის მიმართ განგრძობადი ძალადობრივი მოპყრობა გასცდა მინიმალურ ზღვარს და იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მათზე არ მოუხდენია ეფექტური რეაგირება, გამოიწვია მისი მეორეული ვიქტიმიზაცია და მიიღო ფსიქოლოგიური წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის ფორმა.

ამავე დროს, კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებაში (თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა) კომიტეტმა დაადგინა, რომ მომჩივანი გახლდათ პირდაპირი დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი მისი შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნის გამო, რაც განპირობებული იყო მოცემულ ქვეყანაში ზოგადი უარყოფითი პრაქტიკით ალბინიზმის მქონე პირების მიმართ. დისკრიმინაციული მოპყრობა უფრო მეტად გამყარდა მოცემული მოპყრობის მიმართ რეაგირების არ არსებობის გამო, ქვეყანაში დამკვიდრებული დაუსჯელობის სინდრომით.

კომიტეტმა, აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-7 მუხლის (**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები**) დარღვევა, რადგან მომჩივანის მიმართ 12 წლის ასაკში განხორციელებულ დისკრიმინაციულ ძალადობრივ აქტებს არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან: სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შშმ ბავშვის დაცვა, განხორციელებული ძალადობის ეფექტური გამოძიება, სამედიცინო და სარეაბილიტაციო დახმარების შეთავაზება.

კომიტეტის შეფასებით, მოცემულ საქმეში, სახელმწიფოს მიერ აგრეთვე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლის (ცნობიერების ამაღლება), მე-16 მუხლის (ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება), მე-17 მუხლის (პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა) და 24-ე მუხლის (განათლება) მოთხოვნები.

● **მუნირ ალ ადამი საუდის არაბეთის წინააღმდეგ (2016)¹⁴**

საქმეში - **მუნირ ალ ადამი საუდის არაბეთის წინააღმდეგ**, კომიტეტმა განიხილა საუდის არაბეთის 23 წლის მოქალაქის საჩივარი. მომჩივანის ინფორმაციით, მას ბავშვობაში მსუბუქად დაუქვეითდა სმენა მარჯვენა ყურში დაზიანების მიღების შედეგად. მის მიერ წარმოდგენილი ფაქტებით, იგი 2012 წელს დააკავეს საუდის არაბეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში სადაც იგი განმეორებით გახდა წამების მსხვერპლი (იგი დაექვემდებარა ე.წ. „ფალაგას“ - ფეხის გულეებზე ჯოხით ცემით წამება) დანაშაულის აღიარების მიღების მიზნით. ორი კვირით ადრე, იგი გადაიყვანეს საგამოძიებო დეპარტამენტის ძირითად ღირეექტორატში, სადაც მისი თქმით, მოათავსეს სამართლო საკანში და კვლავ განდა

14 Munir al Adam v. Saudi Arabia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 38/2016, 24 October 2018, CRPD/ C/20/D/38/2016.



წამების მსხვერპლი. წამების აქტების შედეგად, მომჩივანის სმენა დამატებით დაქვეითდა. მიუხედავად იმისა, რომ მან სამედიცინო მომსახურება პირველივე დღიდან მოითხოვა, მისი პირველი ექიმის მიერ შემოწმება დაკავებიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის შემდეგ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა სმენის დაქვეითების გამო სასწრაფო ოპერაციის ჩატარების რეკომენდაცია გაწია, ციხის ადმინისტრაციამ ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ მოახდინა მოცემულ რეკომენდაციაზე რეაგირება. შემდეგში მისი კვლავ შემოწმების შედეგად, დაფიქსირდა მარჯვენა ყურში სმენის სრულად დაკარგვა. ამასთან ერთად, მომჩივანს, დაკავების მომენტიდან, არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით, მათ შორის, მიეღო საჭირო სამედიცინო მომსახურება. უშუალო სასამართლო განხილვის დროს, მას მიეცა საშუალება დანიშვნოდა ადვოკატი, თუმცა მასთან კომუნიკაციის შესაძლებლობის გარეშე. საჯარო პროკურორმა მომჩივანის მიმართ სასჯელის სახით სიკვდილით დასჯა მოითხოვა. საჩივრის შეტანის დღის მომჩივანი საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა.

კომიტეტმა იმსჯელა მომჩივანის მიმართ კონვენციის მე-15 მუხლის **(წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლება)** შესაძლო დარღვევის შესახებ. კომიტეტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მომჩივანის მიმართ წამების ფაქტების შესახებ ნათელი ნიშნები ფიგურირებდა და ამ საკითხზე მისმა ოჯახის წევრებმაც წარადგინეს საჩივრები, მონაწილე სახელმწიფომ არ წარმოადგინა რაიმე ინფორმაცია იმის საჩვენებლად, რომ მისმა ორგანოებმა განახორციელეს ეფექტური გამოძიება მოცემულ ბრალდებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ბრალდებები არ გაუბათილებია და მომჩივანს, რომელსაც დაკავების დროს უკვე ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა და წამების შედეგად მარჯვენა ყურში სრულად დაკარგა სმენა, დაერთვა კონვენციის მე-15 მუხლით გარანტირებული უფლება.

ამასთან, კომიტეტმა იმსჯელა კონვენციის მე-16 მუხლის **(ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება)** შესაძლო დარღვევის შესახებ. კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფომ სადავოდ არ განადა მომჩივანის განმარტოებულ საკანში მოთავსების ფაქტი, მის მიმართ განხორციელებული შევიწროება, ძალადობა და წამება. შესაბამისად, კომიტეტის მოსაზრებით, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მომჩივანის მიმართ მოპყრობა არღვევს მის უფლებას მოეპყრონ ჰუმანურად და ადამიანის ღირსების პატივისცემით, წარმოადგენს ძალადობას და შევიწროებას და არღვევს კონვენციის მე-16 მუხლს.

კომიტეტმა, ზემოთ მოცემულ დასკვნებთან ერთად განიხილა და დაადგინა მომჩივანის მიმართ კონვენციის მე-13 **(მართლმსაჯულების მისაწვდომობა)** და 25-ე **(ჯანმრთელობა)** მუხლების დარღვევაც. კომიტეტმა, მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის და პროცედურული უფლებების დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებით გააკრიტიკა მოცემული გარანტიების შეზღუდვა სიკვდილით დასჯის შესაძლო სასჯელის მქონე საქმის განხილვის დროს. ამავე დროს, მომჩივანისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის კუთხით სახელმწიფოს უმოქმედობამ განაპირობა მისი მდგომაროების და შეზღუდული შესაძლებლობების გაურესება.



● *მერი-ლუის იუნგელინი შვედეთის წინააღმდეგ (2014)¹⁵*

საქმეში - *მერი-ლუის იუნგელინი შვედეთის წინააღმდეგ*, კომიტეტმა განიხილა მომჩივანის საჩივარი მის მიმართ კონვენციის 27-ე მუხლის (*შრომისა და დასაქმების უზღვევა*) შესაძლო დარღვევის შესახებ. მომჩივანი განლდათ შშმ პირი მხედველობის სერიოზული შეზღუდვით დაბადებიდან. მან ისწავლა ჩვეულებრივ სკოლაში და მიღებული აქვს ბაკალავრის დიპლომი სამართალში სტოკჰოლმის უნივერსიტეტიდან. მას ჰქონდა სხვადასხვა სამსახურში მუშაობის გამოცდილება, სადაც დაუგროვდა სხვადასხვა სახის კომპიუტერული და საქმის წარმოების სისტემების გამოყენების გამოცდილება, რომლებიც მორგებული იყო მის საჭიროებებზე. 2006 წელს, მომჩივანმა მონაწილეობა მიიღო სოციალური დაზღვევის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რათა დაეწყო მუშაობა ავადმყოფობის დახმარების და კომპენსაციის განცხადებებზე შემფასებლის/გამომძიებლის პოზიციაზე. ინტერვიუს დროს მან სამსახურის წარმომადგენლებს აუხსნა თავისი საჭიროებები და აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურის სერვისის რეაბილიტაციის დეპარტამენტი მას შეჰპირდა, რომ გამოიკვლევდნენ სოციალური დაზღვევის სააგენტოს მიერ გამოყენებაში მქონე კომპიუტერული სისტემების მომჩივანის საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობას. ინტერვიუს შემდეგ მომჩივანს დაუკავშირდნენ სამსახურის წარმომადგენლები და აცნობეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი შეესაბამებოდა მოთხოვნილ კომპეტენციას და გამოცდილებას მისი დაქირავება ვერ მოხდებოდა, რადგან შეუძლებელი იყო მათი სამსახურის კომპიუტერული სისტემის ადაპტირება მის საჭიროებებზე. მომჩივანმა მიმართა შვედეთის შშმ პირთა ომბუდსმენს, რომელმაც 2008 წელს, თავის მხრივ, მიმართა შრომის სასამართლოს მომჩივანის სახელით. ომბუდსმენის მტკიცებით, შესაძლებელი იყო კომპიუტერული სისტემის ადაპტირება დამქირავებელ სამსახურში, აგრეთვე, შესაძლებელი იყო ფურცელზე არსებული დოკუმენტაციის გადათარგმნა ხმოვან ფორმატში, ან ბრაილის ტექსტის გამოყენებით. შრომის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ომბუდსმენის საჩივარი. სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანის კვალიფიკაცია უნდა შეფასებულიყო მის მიერ მომავალ სამსახურში ყველა დავალების და ფუნქციის ეფექტური შესრულების შესაძლებლობით. გარდა კომპიუტერული სისტემის გამოყენების საჭიროებისა, სასამართლოს შეფასებით, მოცემული სამუშაო აგრეთვე გულისხმობდა ხელნაწერების საკმაოდ დიდი ნაწილის შესწავლას და დამუშავებას. სასამართლომ შეაფასა რა ომბუდსმენის მიერ შემოთავაზებული გონივრული მისადაგების ყველა მოდელი მომჩივანის საჭიროების მიმართ ჩათვალა, რომ ეს ცდებოდა გონივრულობის ზღვარს.

კომიტეტმა, მომჩივანის თხოვნით, განიხილა 2010 წლის შრომის სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისობა კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლებთან მიმართებაში. კომიტეტმა, კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად აღნიშნა, რომ *გონივრული მისადაგების* შესაძლო ღონისძიებების გონივრულობისა და პროპორციულობის შეფასების დროს, სახელმწიფოებს გააჩნიათ მიხედულების გარკვეული

15 Marie-Louise Jungelin v. Sweden (2014), Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 5/2011, 14 November 2014, CRPD/C/12/D/5/2011.



ფარგლები. ამასთან, ზოგადად, ადგილობრივი სასამართლოების კომპეტენციაა შეაფასონ ფაქტები და მტკიცებულებები კონკრეტულ საქმეში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომიტეტის შეფასებით, ადგილი ექნება ნათელ თვითნებობას ან მართლმსაჯულებაზე უარის თქმას. კომიტეტის შეფასებით შრომის სასამართლომ სრულყოფილად და ობიექტურად შეაფასა ყველა მოთხოვნა, რაც მხარეებმა წარადგინეს და მივიდა დასკვნამდე, რომ მხარდაჭერა და მისადაგების ღონისძიებები, რასაც ომბუდსმენი ითხოვდა მომჩივანისათვის, შექმნიდა შეუძლებელ ტვირთს სოციალური დაზღვევის სააგენტოსთვის. ამასთან, კომიტეტის შეფასებით, მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც მას მისცემდა დასკვნის საშუალებას, რომ სასამართლოს მოცემული შეფასება არის არსებითად თვითნებური ან მართლმსაჯულებაზე უარის თქმის ტოლფასი. ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, კომიტეტის დასკვნით, მოცემულ საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლები.



● *ზლოტ ბუიდოსო და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ (2013)¹⁶*

საქმეში - ზლოტ ბუიდოსო და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ, კომიტეტმა განიხილა უნგრეთის მოქალაქეების საჩივარი, რომლებიც იყვნენ „ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების“ მქონე პირები და მოქცეულნი იყვნენ ნაწილობრივი ან სრული სამართლებრივი მეურვეობის ქვეშ. მოცემული მეურვეობის ქვეშ მოქცევამ ავტომატურად განაპირობა საარჩევნო სიიდან მათი ამორიცხვა, რადგან განხილული საქმის ფაქტობრივი მოვლენების დროს მოქმედი კონსტიტუციით მოცემულ კატეგორიაში მყოფ პირებს ეკრძალებოდათ არჩევნებში ხმის მიცემა. ამის გამო, მომჩივანებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა 2010 წლის აპრილის უნგრეთის პარლამენტის და 2010 წლის ოქტომბრის თვითმართველობის არჩევნებში.

კომიტეტმა მომჩივანების თხოვნის შესაბამისად განიხილა კონვენციის 29-ე (*პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა*) და მე-12 მუხლის (*კანონის წინაშე სამართალსუბიექტად სხვასთან თანასწორად აღიარების უფლება*) 29-ე მუხლთან ერთად დარღვევის საკითხი. მოცემული საკითხის განხილვის დროს კომიტეტმა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა კონვენციის 29-ე მუხლის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვით საელმწიფოები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ შშმ პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა პირებთან თანასწორად, ეფექტურად და სრულად მონაწილეობა, მათ შორის, მათთვის არჩევნებზე ხმის მიცემის უფლების გარანტირებით. კონვენციის მოცემული მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გონივრულ შეზღუდვას ან გამონაკლისს შშმ პირთა რომელიმე ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, არჩევნებზე ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა, რაიმე მიკუთვნებული თუ აშკარა ფსიქოლოგიური ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის გამო, წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით. კომიტეტმა აქვე მიუთითა, კონვენციის შესაბამისად სახელმწიფოების მიერ პერიოდული ანგარიშგების შედეგად, ტუნისის¹⁷ და ესპანეთის¹⁸ მიმართ გამოტანილ დასკვნით მოსაზრებებზე, სადაც აღნიშნულ სახელმწიფოებს მოუწოდა სისტემური რეფორმა გაეტარებინათ ყველა შშმ პირისთვის საარჩევნო უფლების უზრუნველყოფასთან მიმართებაში. შესაბამისად, განხილულ საქმესთან მიმართებაში, სახელმწიფოს მიერ, მომჩივანთა ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის გამო, საარჩევნო უფლების შეზღუდვა კომიტეტმა მიიჩნია კონვენციის 29-ე მუხლთან შეუსაბამოდ.

ამასთან, კომიტეტმა მიუთითა კონვენციის მე-12 მუხლით გარანტირებული შშმ პირების მიმართ სამართალსუბიექტობის უფლების უზრუნველყოფის შესახებ, „სხვა პირებთან თანასწორად საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში“, მათ შორის,

16 Zsolt Bujdosó, Jánosné Ildikó Márkus, Viktória Márton, Sándor Mészáros, Gergely Polk and János Szabó v. Hungary, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 5/2014, 16 October 2013, CRPD/C/10/D/4/2011.
17 CRPD/C/TUN/CO/1, para. 35.
18 CRPD/C/ESP/CO/1, para. 47,



პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასაც. მოცემული მუხლის მიხედვით სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, რათა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შშმ პირებისთვის სამართალსუბიექტობის უფლების რეალური განხორციელების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კომიტეტის შეფასებით მომჩივანებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა, მიკუთვნებული ან აშკარა ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის გამო, წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-12 მუხლთან და 29 მუხლთან ერთობლიობაში.

● *ფიონა გივნი ავსტრალიის წინააღმდეგ (2018)*¹⁹

საქმეში - *ფიონა გივნი ავსტრალიის წინააღმდეგ*, კომიტეტმა განიხილა შშმ პირის მონაწილეობის შესაძლებლობა არჩევნებში. მომჩივანი გახლდათ ავსტრალიის მოქალაქე, რომელსაც ქონდა ცერებრული დამბლა და ამის შედეგად შეზღუდული კუნთოვანი კონტროლი, მოძრაობის და მეტყველების შეფერხება. იგი გადაადგილებისთვის შშმ პირის ელექტრონულ ეტლს, ხოლო კომუნიკაციისთვის, ელექტრონულ სინთეტიკურ სასაუბრო მოწყობილობას იყენებდა. 2013 წლის სექტემბერში, ავსტრალიაში განხორციელდა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები. მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ ფოსტით, საარჩევნო უბანზე, მათ შორის, მხედველობის არმქონე პირთათვის არსებული ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის გამოყენებით. არჩევნების დღეს, მომჩივანს სურდა მონაწილეობა მიეღო ხმის ფარულად მიცემის გზით, მაგრამ მას არ ქონდა უნარი დამოუკიდებლად, ვინმეს დახმარების გარეშე, მოენიშნა ბიულეტენში მისი არჩევანი, გადაეკეცა და მოეთავსებინა ის საარჩევნო ყუთში, რომ დაცულიყო მისი არჩევანის ფარულობა. საარჩევნო უბანზე მომჩივანი გამოცხადდა დამხმარესთან ერთად. სურდა რა გამოეყენებინა მისი უფლება, როგორც ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის პირმა, კანონის შესაბამისად სთხოვა საარჩევნო ყუთზე ზედამხედველ პირს დახმარებოდა ხმის მიცემის პროცესში. შესაბამისმა კომისიის წარმომადგენელმა უარი უთხრა განმცხადებელს მოუცლეთლობის გამო და მიუთითა მასთან ერთად მყოფ დამხმარეზე, როგორც პირზე, რომელიც მას უნდა დახმარებოდა ამ პროცესში. მომჩივანმა მისი კომუნიკაციის ელექტრონული სისტემის გამოყენებით განაცხადა რომ მას არ სურდა მისი დამხმარის გამოყენება ამ პროცესში, რადგან ეს პირი მასთან უნდა ყოფილიყო დიდი ხნის განმავლობაში და ერჩივნა უცხო პირის დახმარების გამოყენება, რაც მას უფრო მეტად შეუწყობდა ხელს რომ მისი არჩევანი დარჩენილიყო კონფიდენციალური. განმეორებითი უარის შემდეგ, საბოლოოდ, მომჩივანი იძულებული გახდა გამოეყენებინა მისი უშუალო დამხმარის ხელშეწყობა ხმის მიცემის დროს.

კომიტეტმა განიხილა მომჩივანის თხოვნა, შეეფასებინა კონვენციის 29-ე (*პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა*) და მე-5 (*თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა*) და მე-9 (*მისაწვდომობის უფლება*) მუხლების შესაძლო დარღვევები, რადგან მისი მტკიცებით, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო იგი მისაწვდომი საარჩევნო პროცედურით და მექანიზმებით, მათ შორის, დამხმარე ტექნოლოგიის გამოყენებით.

19 Fiona Given v. Australia, Committee on the Rights of Persons with Disabilities, Communication No. 19/2014, 29 March 2018, CRPD/C/19/D/19/2014.



კომიტეტმა შეისწავლა რა ფაქტობრივი გარემოებები, უპირველესყოვლისა მიუთია კონვენციის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყოს შშმ პირები სხვა პირებთან თანასწორად პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ეფექტური და სრული მონაწილეობის შესაძლებლობით. მოცემული გარანტია მოიცავს არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასაც. კომიტეტმა კვლავ გაიმეორა, რომ მისაწვდომობის გარანტია ვრცელდება ჯგუფებზე, ხოლო გონივრული მისადაგების გარანტია ინდივიდებზე. შესაბამისად მისაწვდომობის გარანტია გახლავთ ex ante ვალდებულება და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იგი მანამ, სანამ მიიღებენ ინდივიდუალურ მოთხოვნას გარკვეულ სივრცეში შესვლის თუ სერვისის მიღების შესახებ. ამავე დროს, კონვენციის მე-9 მუხლით სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება გაატარონ საჭირო ღონისძიებები, რათა განავითარონ შშმ პირების მისაწვდომობა ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და სისტემებზე. კონვენციის მე-5 მუხლი კი იცავს შშმ პირებს დისკრიმინაციისგან და ფიზიკურ გარემოსთან, სატრანსპორტო სისტემასთან, ინფორმაციასთან და კომუნიკაციასთან, აგრეთვე საჯარო სერვისებთან სხვა პირებისგან განსხვავებით შეზღუდული მისაწვდომობა, ჩაითვლება აკრძალულ დისკრიმინაციის აქტად.

კომიტეტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მტკიცებით, მომჩივანს ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მიღების რამდენიმე საშუალება, 2013 წლის ფედერალურ არჩევნებში მომჩივანს არ ქონდა საშუალება ხმის მიცემა განუხორცილებინა იმ გზით, რაც მას სურდა - არ გაემჟღავნებინა მისი არჩევანი სხვა პირისთვის. კომიტეტის აზრით, ელექტრონულ ხმის მიცემის საშუალებაზე მომჩივანის მისაწვდომობა მას საშუალებას მისცემდა დამოუკიდებლად შემოეხაზა ბიულეტენი ისე, რომ არ გაემჟღავნებინა ეს სხვა პირისთვის, იგივე პირობებში როგორც სხვა ამომრჩევლები (მათ შორის მხედველობის არმქონე პირები). ამ მხრივ, სახელმწიფოს არგუმენტი, რომ არსებული ბარიერების მოხსნა შშმ პირებისთვის შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობით, რადგან ამის ხარჯი არაპროპორციულად დიდ ტვირთს წარმოადგენს, კომიტეტისთვის მიუღებელია, რადგან მისაწვდომობის ვალდებულების შესრულება არ ექვემდებარება რაიმე პირობას.

მომჩივანის საცხოვრებელი ადგილის შტატში ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა მხედველობის არმქონე პირებისათვის მოქმედებს 2011 წლიდან. სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე არგუმენტი, რომლის მიხედვით მოცემული სისტემის გამოყენება მომჩივანისთვის (და მის მდგომარეობაში მყოფი სხვა პირებისთვის) არსებითად დიდ სირთულეს შექმნიდა. კომიტეტის შეფასებით, კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა გამორიცხოს შშმ პირების დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა მიზეზის გამო.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, კომიტეტმა მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის 29-ე მუხლის ცალკე, და მისი მე-5 მუხლთან ერთად, აგრეთვე მე-9 მუხლის დარღვევა.



II. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (კონვენცია) გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური რეგიონული ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტი. მის აღსრულებაზე ზედამხედველი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (სასამართლო) გადაწყვეტილებები კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ, თავად კონვენციის დებულებების შესაბამისად, სავალდებულო სამართლებრივი ხასიათის მატარებელია. ამავ დროს, სასამართლოს მიერ სხვა ქვეყნის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს კონვენციის მონაწილე თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის.

კონვენცია უშუალოდ არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკე დებულებებს. თუმცა, მის მიერ აღიარებული და დაცული უფლებები და თავისუფლებები პირდაპირ და მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს ქმნიან შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქვემოთ ვნახავთ, გაეროს შშმ პირთა კონვენციის დამტკიცების და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ რატიფიცირების შემდეგ, სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ეყრდნობა და ხელმძღვანელობს მოცემული საერთაშორისო ინსტრუმენტით. სასამართლოს საკმაოდ ფართო პრაქტიკის გათვალისწინებით ქვემოთ წარმოგიდგინებ მხოლოდ ნაწილს იმ გადაწყვეტილებების, რომლებიც ქმნიან მნიშვნელოვან საფუძველს შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით.



● გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ (2009)²⁰

საქმეში - **გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ**, მომჩივანი გახლდათ დიაბეტიტით დაავადებული პირი, რომელიც, სამხედრო ექიმის მიერ, ცნობილ იქნა სამხედრო სამსახურისათვის შეუსაბამოდ. ამის მიუხედავად, მას მაინც დაეკისრა გადასახადი სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის გამო. მომჩივანის აზრით, იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას სურდა სამხედრო სამსახურის გავლა ამის საშუალება არ მიეცა, თუმცა კომპეტენტურმა ორგანომ მაინც დააკისრა მას გადასახადი, რადგან მისი შეზღუდული შესაძლებლობა ჩათვალა უმნიშვნელოდ. მომჩივანის მოსაზრებით, პრაქტიკაში დამკვიდრებული შეზღუდული შესაძლებლობის ზღვარი (ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის 40%), რომელიც გამოიყენებოდა გადასახადისგან გათავისუფლების დროს, არ ეფუძნებოდა სამართლებრივ საფუძველს.

სასამართლომ, მოცემულ საქმეში, ევროპულ კონვენციასთან ერთად, მიუთითა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1592 (2003) რეკომენდაციაზე შშმ პირთა სრული სოციალური ჩართულობის შესახებ, აგრეთვე გაეროს კონვენციაზე შშმ პირთა უღებების შესახებ და აღნიშნა, რომ მოცემული საქმის განხილვის დროს უკვე არსებობს ევროპული და მსოფლიო კონსენსუსი შშმ პირთა დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის თაობაზე.

მოცემულ საქმეში ფაქტობრივი ინფორმაციის და მხარეთა არგუმენტაციის შესწავლის შემდეგ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება) ერთად დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოებრივი ინტერესის და მომჩივანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას შორის. განსახილველი გადასახადის მიზნის გათვალისწინებით, ობიექტური განსხვავება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, იმ პირებს შორის რომლებიც არ იყვნენ შესაფერისი სამხედრო სამსახურისათვის და არ უნდა გადაეხადათ გადასახადი და იმ პირებს შორის, ვინც არ იყვნენ შესაფერისი მოცემული სამსახურისათვის, მაგრამ მაინც უნდა გადაეხადათ გადასახადი არ ჩანდა გონივრულად, რაც აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

● ჩამი თურქეთის წინააღმდეგ (2016)²¹

მოცემული საქმე ეხებოდა თურქეთის მოქალაქის საჩივარს, რომელიც ითხოვდა სასამართლოს დაედგინა კონვენციის დარღვევა მისი, როგორც შშმ პირისთვის განათლების უფლების დისკრიმინაციული ნიშნით შეზღუდვის გამო. კერძოდ, მომჩივანს უარი ეთქვა თურქეთის მუსიკის ეროვნულ აკადემიაში ჩარიცხვაზე, რადგან ის იყო

20 Glor v. Switzerland (application no. 13444/04), ECtHR, 30 April 2009.

21 Çam v. Turkey (application no. 51500/08), ECtHR, 23 February 2016.



მხედველობა დაკარგული პირი. მომჩივანის აზრით სახელმწიფომ დაარღვია მის მიმართ კონვენციის დებულებები, რადგან ვერ უზრუნველყო შშმ პირი სხვა პირებთან თანასწორი შესაძლებლობებით. მისი აზრით, მისი მხედველობის არ ქონა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობა გახდა მის მიმართ დისკრიმინაციის საფუძველი.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთად დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი კომპეტენციის მიხედვით სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს და უნდა ჩარიცხულიყო აკადემიაში, უარის თქმის ერთადერთი საფუძველი გახლდათ ის ფაქტი, რომ იგი იყო მხედველობის არმქონე. სასამართლოს შეფასებით, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის გამო, მათ შორის, განხორციელდა მომჩივანისთვის **გონივრული მისადაგებაზე** უარის თქმის გამო. მოცემული მისადაგება აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა მომჩივანის მიერ განათლების უფლებით სარგებლობის კუთხით.

● *გუბერინა ხორვატიის წინააღმდეგ (2016)*²²

საქმეში - **გუბერინა ხორვატიის წინააღმდეგ**, მომჩივანი გახლდათ მძიმე ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მშობელი. მან და მისმა ოჯახმა გაყიდა სახლი, რადგან იგი არ იყო მორგებული მათი შშმ ბავშვის საჭიროებებზე (**არ იყო ლიფტი**). ახალი სახლის შექმნისას მომჩივანმა მოითხოვა შესაბამისი გადასახადისგან გათავისუფლება, რომელსაც ითვალისწინებდა ადგილობრივი კანონმდებლობა, თუ ხდებოდა სახლის შექმნა „**ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით**“. თუმცა, მომჩივანს უარი ეთქვა გადასახადისგან გათავისუფლებაზე, რადგან ადგილობრივი შესაბამისი ორგანოს ინტერპრეტაციით, გადასახადისგან გათავისუფლებოდა პირი, თუ ახალი სახლის შექმნით ხდებოდა „**ჰიგიენის და ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება**“. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ამტკიცებდა ახალი სახლის უპირატესობას მისი შვილის და შესაბამისად ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით, ადგილობრივმა ორგანომ და შემდგომში ადგილობრივმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ძველი სახლი აკმაყოფილებდა მოცემულ კრიტერიუმებს და უარი უთხრა გადასახადის გათავისუფლებაზე ისე, რომ არ გაითვალისწინა შშმ პირის ინტერესები.

სასამართლომ, მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან (საკუთრების დაცვა) ერთად დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, ხორვატიის სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ობიექტური და გონივრული დასაბუთება მათი მხრიდან მომჩივანის შემთხვევაში არსებული უთანასწორობის მხედველობაში მიუღებლობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივმა ორგანომ, რომლებიც იხილავდნენ გადასახადისგან მომჩივანის ოჯახის გათავისუფლების საკითხს, არ მიიღეს მხედველობაში მათი სპეციალური საჭიროებები, რაც მათი შვილის შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარეობდა. მეტიც, მათ ვერ დაუკავშირეს მომჩივანის შვილის საჭიროება მომავალი სახლის ტექნიკური სპეციფიკაციების საჭიროებებს. ამავდროს, ხორვატიამ მოახდინა რა რატიფიცირება გაეროს შშმ პირთა უფლებების და-

22 Guberina v. Croatia (application no. 23682/13), ECtHR, 22 March 2016;



ცვის კონვენციის, აიღო ვალდებულება უზრუნველყო შშმ პირები **გონივრული მისა-
დაგებით**, რათა გამორიცხულიყო მოცემული პირების დისკრიმინაცია. შესაბამისად,
სასამართლოს შეფასებით, მონაწილე სახელმწიფოს ქმედება აგრეთვე წინააღმდეგო-
ბაში მოდიოდა გაეროს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან.



- *იასინსკისი ლატვიის წინააღმდეგ (2010)*²³

სასამართლომ საქმეში - *იასინსკისი ლატვიის წინააღმდეგ*, განიხილა მომჩივანის საჩივარი კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) შესაძლო დარღვევის შესახებ, მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მომჩივანის შვილი გახლდათ სმენა და მეტყველება დაკარგული პირი. იგი სტუდენტური წვეულების დროს დაეცა, დაგორდა კიბეებზე და გონება დაკარგა. ადგილზე გამოძახებულ იქნა პოლიცია, რომელსაც აგრეთვე აცნობეს რომ მომჩივანის შვილს ქონდა შესაბამისი შეზღუდული შესაძლებლობები. პოლიციის ოფიცრები არ დაელოდნენ სასწრაფო დახმარების სამსახურის მოსვლას და წაიყვანეს პირი პოლიციის განყოფილებაში და ჩათვალეს რა, რომ იგი იყო სიმთვრალის მდგომარეობაში, მოათავსეს იგი გამოსაფხიზლებელ საკანში. მისი განყოფილებაში მოთავსების დროს არ მომხდარა სამედიცინო შემოწმება. მომჩივანის შვილმა, დაკავების დამეს, უბრაზუნა საკნის კარებს და კედლებს და შემდეგ კვლავ დაკარგა გონება. პოლიციის ოფიცრებმა ვერ გაიგეს მისი ქუსტური ენა და მან ვერ შეძლო სხვა გზით კომუნიკაცია მათთან, რადგან ბლოკნოტი აღარ ქონდა თან. მისი პოლიციაში მოთავსებიდან შვიდი საათის შემდეგ, პოლიციის ოფიცრები ეცადნენ იგი გაეღვიძებინათ, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგი შვიდი საათის შემდეგ გამოძახებულ იქნა სასწრაფო დახმარების ჯგუფი. როგორც მომჩივანი აცხადებს, სასწრაფო დახმარების წარმომადგენლებმა ჩათვალეს რა, რომ მომჩივანის შვილი „იტყუებოდა“ მისი გადაყვანა არ მოხდა სამედიცინო დაწესებულებაში. მომჩივანის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, მისი შვილის პოლიციის განყოფილებაში მოთავსებიდან მეორე დღის ბოლოს იგი გადაყვანეს სამედიცინო განყოფილებაში, სადაც მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც „მძიმე“. მეორე დღით მომჩივანის შვილი გარდაიცვალა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლების) დარღვევა. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ განიხილა რამდენად დაირღვა მე-2 მუხლის მატერიალური მხარე. სასამართლომ გაიმეორა მყარად დადგენილი პრინციპი, რომლის მიხედვით, კონვენციის მე-2 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს არა მარტო „განზრახ“ არ შეწყვიტოს სიცოცხლე, არამედ მიიღოს შესაბამისი ზომები რათა დაცული იყოს ადამიანის სიცოცხლე მისი იურისდიქციის ქვეშ. ამ კუთხით განსაკუთრებული ზრუნვას და დაცვას საჭიროებენ თავისუფლება შეზღუდული შშმ პირები. მოცემულ საქმეში, სასამართლოს შეფასებით, ამას ადგილი არ ქონია, რადგან პოლიციის თანამშრომლებმა არ მოახდინეს მომჩივანის შვილის სამედიცინო შემოწმება მისი პოლიციის განყოფილებაში მოთავსების დროს, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ვალდებულება ეკისრებოდათ, მათ შორის, ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, მომჩივანის შვილს არ მიეცა საშუალება მიეღო ინფორმაცია მისი ჯამრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ იგი აბრაზუნებდა საკნის კარებზე და კედლებზე. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი იყო სმენა და მეტყველება დაკარგული პირი, ადგილობრივი

23 Jasinskis v. Latvia, (application no. 45744/08), ECtHR, 21 December 2010;



და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პოლიციის თანამშრომლებს ვალდებულნი იყვნენ, როგორც მინიმუმ, მიეწოდებინათ მისთვის კალამი და ფურცელი, რათა მას ეფექტურად მოეხდინა კომუნიკაცია. ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური მხარის დარღვევა. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მომჩივანის შვილის გარდაცვალების შემთხვევის ეფექტური გამოძიების განუხორციელებლობის გამო, აგრეთვე დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული მხარე.

- *ნეჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (2013)²⁴*

საქმეში - *ნეჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, მომჩივანები იყვნენ თხუთმეტიდან-შვიდი წლის შშმ ბავშვების და მოზარდების მშობლები, რომლებიც 1996 წლის დეკემბერიდან 1997 წლის მარტამდე პერიოდში ფიზიკური და ფსიქიკური შშმ ახალგაზრდა პირთა სახლში გარდაიცვალნენ სიცივის ეფექტის, საჭმლის, მედიცინის და ელემენტარული საჭიროებების არ არსებობის გამო. მოცემულ დაწესებულებაში მოთავსებული იყვნენ განსაკუთრებით მძიმე დაავადებების და შესაბამისად, სპეციალური საჭიროებების ბავშვები და მოზარდები. როგორც საქმის ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს, მოცემული დაწესებულების მენეჯერმა არსებული პრობლემების იდენტიფიცირებით, რამდენჯერმე წარუმატებლად სცადა იმ შესაბამისი საჯარო უწყებების ყურადღების მიქცევა, რომლებსაც ჰქონდათ მოცემული დაწესებულების დაფინანსების პირდაპირი ვალდებულება და უნდა ემოქმედათ კიდევ. დაფინანსების სიმცირე დაკავშირებული იყო აღნიშნულ პერიოდში ბულგარეთში მიმდინარე მძიმე ეკონომიკურ კრიზისთან.

სასამართლომ მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან მისი შეფასებით, ხელისუფლების ორგანოებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულება მოეხდინათ ზრუნვის ქვეშ მყოფი, მოწყვლადი არასრულწლოვანი ბავშვების სიცოცხლის დაცვა სერიოზული და უშუალო საფრთხისგან. ამავე დროს, ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიძიეს საეჭვო გარემოებებში გარდაცვალების ფაქტები. სასამართლოს შეფასებით, ხელისუფლების ორგანოებს უნდა სცოდნოდათ, რომ ბავშვთა სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე და უნდა განეხორციელებინათ მათ დასაცავად აუცილებელი ღონისძიებები.

- *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპენუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (2014)²⁵*

მოცემულ საქმეში საჩივარი წარდგენილ იქნა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ვალენტინ კამპენუს სახელით, რომელიც გარდაიცვალა 2004 წელს, 18 წლის ასაკში, ფსიქიატრიულ სამედიცინო დაწესებულებაში. იგი დაბადებიდან მიტოვებული იყო მშობლების მიერ და იზრდებოდა მზრუნველობის სახლში. მას აღრეულ

24 Nenchewa and Others v. Bulgaria (application no. 48609/06), ECtHR, 18 June 2013.

25 Centre For Legal Resources on Behalf of Valentin Câmpeanu v. Romania (application no. 47848/08), ECtHR, 17 July 2014.



ბავშვობაში დაუდგინდა აივ ინფექცია და ასევე ქონდა მძიმე ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობები.

საქმე განიხილა სასამართლოს დიდმა პალატამ და საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, დაუშვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოცემული პირის ინტერესების სასარგებლოდ საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ თავად მოცემული ორგანიზაცია არ გახლდათ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი. სასამართლომ (დიდმა პალატამ) დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა, როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ ასპექტში. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ვალენტინ კამპენუ მოთავსებულ იქნა ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც არ იყო მზად მიეწოდებინა მისი საჭიროებების შესაბამისი ზრუნვა; როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, შშმ პირის გადაყვანა ხდებოდა ერთი განყოფილებიდან მეორეში, ყოველგვარი დიაგნოზის გარეშე; შესაბამისმა ორგანოებმა ვერ მოახერხეს მისი მკურნალობა ანტი-რეტროვირუსული მედიკამენტებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა იცოდნენ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ვალენტინ კამპენუ, მაგრამ იგი მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, რომელსაც არ ჰყავდა ადეკვატური პერსონალი, არ ჰქონდა გათბობა და მხოლოდ შეზღუდულ კვებას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, სრულიად უპასუხისმგებლოდ შეუქმნეს მის სიცოცხლეს საფრთხე.

ამასთან, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის (ეფექტური სამართლებრივი დაკმაყოფილების უფლება) დარღვევა, რადგან რუმინეთის საელმწიფომ სიცოცხლის უფლების დარღვევის შემთხვევაში ვერ უზრუნველყო ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართლებრივი დაკმაყოფილება. სასამართლომ ინდივიდუალურ საჩივარზე კონვენციის დარღვევის დადგენასთან ერთად, რუმინეთს, ზოგადი რეკომენდაციის სახით, მიუთითა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების აუცილებლობაზე, რომლებიც ფსიქიკური შშმ პირებისთვის შეუქმნიდა შესაძლებლობას, ჰქონოდათ საკუთარი უფლებების დაცვის (მათ შორის ჯამრთელობის და მოპყრობის კუთხით) საშუალება დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე გასაჩივრებით.



● *პრაისი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (2001)*²⁶

მოცემულ საქმეში საჩივარი წარდგინდა იქნა ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (ოთხივე კიდურის გამოყენების შეუძლებლობა და ღვიძლის დაავადება) ქალის მიერ რომელსაც სამოქალაქო საქმის წარმოების დროს, სასამართლოს მითითების შეუსრულებლობის გამო (ვალის ამოღების საქმეზე უარი განაცხადა პასუხი გაეცა მოსამართლის კითხვაზე მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ), შეეფარდა 7 დღიანი თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანი ერთი დამე მოათავსეს პოლიციის საკანში, სადაც იგი იძულებული იყო დაეძინა სიცივეში, მის ეტლში, რადგან საწოლი არ იყო მორგებული შშმ პირების საჭიროებებზე. შემდგომში მან ორი დღე გაატარა შესაბამის საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც დამოკიდებული იყო მამაკაცი ბადრაგების დახმარებაზე რათა ესარგებლა ტუალეტით.

სასამართლომ მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა) დარღვევა. მისი შეფასებით, მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თავისუფლების აღკვეთა ისეთ პირობებში, სადაც მას სახიფათოდ სციოდა, არ შეეძლო შესაბამის ლოგინზე დაძინება, აგრეთვე, როდესაც მას არ ქონდა ტუალეტზე და სანიტარულ პირობებზე მისაწვდომობა, წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

● *არუთიუნიანი რუსეთის წინააღმდეგ (2012)*²⁷

საქმეში *არუთიუნიანი რუსეთის წინააღმდეგ* სასამართლომ განიხილა შშმ პატიმრის საჩივარი, რომელიც გახლდათ ეტლით მოსარგებლე შშმ პირი და ჯამრთელობის მრავალი პრობლემა ქონდა, მათ შორის გადანერგილი ღვიძლი, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იყო, სუსტი მხედველობა, დიაბეტი და გადაჭარბებული წონის პრობლემა. საპატიმროში მისი საკანი გახლდათ მეოთხე სართულზე, შენობაში რომელსაც ლიფტი არ ჰქონდა, ხოლო სამედიცინო განყოფილება მდებარეობდა პირველ სართულზე. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ხშირად სჭირდებოდა ექიმთან ვიზიტი იგი იძულებული იყო, ლიფტის არარსებობის გამო, ფეხით ევლო სართულებზე. აღნიშნულ პირობებში მას თავისუფლება აღკვეთილი ქონდა წელიწადზე მეტი ხნით, მანამ, სანამ გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში და შემდგომში მიეცა საშუალება რეგულარულად განეხორციელებინა ვიზიტი სამედიცინო დაწესებულებაში.

სასამართლომ განიხილა მომჩივანის მოთხოვნა და დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა), რადგან მიიჩნია, რომ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მომჩივანის უსაფრთხოება და შესაბამის პირობებში მისი შეზღუდული შესაძლებლობის გათვა-

26 Price v. the United Kingdom (application no. 33394/96), ECtHR, 10 July 2001.

27 Arutyunyan v. Russia (application no. 48977/09), ECtHR, 10 January 2012.



ლისწინება. მას არ მიეცა საშუალება მისაწვდომობა ჰქონოდა სამედიცინო სერვისებზე, შენობის გარეთ ვარჯიშზე და სუფთა ჰაერზე. სასამართლომ განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა იმისა გამო, რომ მომჩივანი თხუთმეტ თვეზე მეტი ხნით მისი შეზღუდული მობილობის პირობებში იძულებული იყო, კვირაში ოთხჯერ მაინც, ოთხ სართულზე ჩასულიყო და დაბრუნებულიყო, რათა მიეღო საკმაოდ რთულ სამედიცინო პროცედურაში მონაწილეობა, რაც აუცილებელი იყო მისი ჯანმრთელობისთვის. სასამართლოს შეფასებით, ამან განაპირობა მომჩივანისთვის უმიზეზო ტკივილის განცდა და შეუქმნა სერიოზული საფრთხე მის ჯანმრთელობას.

● **ზარზიცკი პოლონეთის წინააღმდეგ (2013)²⁸**

მომჩივანი საქმეში **ზარზიცკი პოლონეთის წინააღმდეგ** გახლდათ შშმ პირი, რომელმაც უბედური შემთხვევის დროს დაკარგა ორივე ხელი და მიენიჭა პირველი ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის მექონე პირის სტატუსი, რომელსაც სჭირდებოდა დამხმარე. 2002 წელს, მომჩივანის თავისუფლება აღეკვეთა სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების გამო, რომელიც უკავშირდებოდა არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ დანაშაულებს და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას. 2003 წელს, მომჩივანს სასჯელის სახით სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საპატიმრო დაწყებულებში მომჩივანს ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო დახმარებას უწევდნენ მისი თანამესაკნეები. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მომჩივანს მიაწოდეს ინფორმაცია მისი კიდურებისთვის პროთეზის მიღების შესაძლებლობის შესახებ და მას გაეწია დახმარება შესაბამისი ხარჯების ანაზღაურების აპლიკაციის წარსადგენად. მომჩივანმა მოითხოვა ბიო-მექანიკური პროთეზები, თუმცა მან ვერ შეძლო ფასის აუცილებელი, არა ანაზღაურებადი ნაწილის გადახდა. 2003 წელს, მას მიეცა საშუალება რომ დროებით გათავისუფლებულიყო საპატიმროდან ორთოპედული დახმარების მისაღებად. შედეგად, მომჩივანმა შეძლო უფასოდ მოეპოვებინა ძირითადი ტიპის მექანიკური პროთეზები და გაირა ფიზიოთერაპია. 2004 წელს, მომჩივანი დაბრუნდა საპატიმროში, 2006 წელს კი გათავისუფლდა პირობით ვადაზე ადრე. მომჩივანმა საპატიმროში მის საჭიროებებთან დაკავშირებით შესაბამისი დახმარების მიუღებლობის გამო მიმართა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა) დარღვევის დადგენის თხოვნით.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი. კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საპატიმრო დაწესებულებაში მომჩივანის მიმართ დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან პროაქტიულ დახმარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ხშირად გააკრიტიკა სახელმწიფოები ისეთი სისტემების არსებობის გამო, სადაც საპატიმრო დაწესებულებაში შშმ პირებს მათი შესაძლებლობები ეხმარებიან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ამას თავისი სურვილით ასრულებდნენ, განხილულ საქმეში სასამართლომ არ მიიჩნია მოცემული მიდგომა მომჩივანის უფლებების დარღვევის ფორმად. რაც შეეხება პროთეზების ხელმისაწვდომობას, სასამართლომ მიიჩნია რომ იმ პირობებში, როდესაც მომჩივანს ჰქონდა

28 Zarzycki v. Poland (application no. 15351/03), ECtHR, 6 March 2013.



შესაძლებლობა, რომ უფასოდ მიეღო მექანიკური ტიპის პროთეზები და ბიო-პროთეზების ხარჯის დიდი ნაწილი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა, რითიც მან ისარგებლა, ბიო-პროთეზების ხარჯის სრულად დაფინანსების შეუძლებლობა პოლონეთის სახელმწიფოს მხრიდან ვერ ჩაითვლებოდა მასზე დაკისრებული კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევად. სასამართლოს შეფასებით, ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყვეს მომჩივანი რეგულარული და ადეკვატური მხარდაჭერით, მისი სპეციალური საჭიროებების გამო და მომჩივანის განზრახ დამცირების ინციდენტის შესახებ, არ წარმოდგენილა რაიმე ტიპის მტკიცებულება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამპუტირებული ხელების მექონე პატიმრისთვის თავისუფლების ადეკვატა მძიმე იყო, მის მიმართ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგენისთვის საჭირო მინიმალური ზღვარისთვის არ მიუღწევია.

● *სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ (2012)*²⁹

საქმე *სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ* შეეხებოდა პირს, რომელიც აცხადებდა რომ იგი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, წლების განმავლობაში მოთავსებული იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მიუვალ მთიან რეგიონში. მომჩივანი გახლდათ ბულგარეთის მოქალაქე, რომელიც 2001 წელს სასამართლომ ცნო ნაწილობრივ ქმედუნაროდ, რადგან 1975 წლიდან მას ჰქონდა შიზოფრენიის დიაგნოზი და არ შეეძლო დამოუკიდებლად ემართა საქმეები ან გაეცნობიერებინა მისი მოქმედების შედეგები. 2002 წელს, მას დაუნიშნეს სამართლებრივი წარმომადგენელი, რადგან მისმა ოჯახმა უარი თქვა ამ როლის შესრულებაზე. 2002 წელს, მომჩივანის ინფორმირების გარეშე, მისმა სამართლებრივმა წარმომადგენელმა მიიღო გადაწყვეტილება მომჩივანის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, რომელიც მდებარეობდა ქვეყნის მიუვალ მთიან დასახლებულ პუნქტში. მომჩივანს აღნიშნული დაწესებულების დატოვების უფლება მხოლოდ დირექტორის თანხმობის შემდეგ ჰქონდა. 2003 წლის ვიზიტის შემდეგ, 1920 წელს აშენებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არსებული პირობები არაადამიანურად და დამამცირებლად შეაფასა ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CPT). რამდენიმე სამართლებრივი საჩივრის შემდეგ 2006 წელს, კერძო ფსიქიატრიული ექსპერტის შეფასებამ დაადგინა, რომ მომჩივანს საწყის ეტაპზე არასწორად დაუდგინდა შიზოფრენიის დიაგნოზი. იგი მიდრეკილი იყო ალკოჰოლიზმისკენ, რისი სიმპტომებიც შეიძლება აღრუულიყო შიზოფრენიაში. მომჩივანის მოცემულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მძიმე პირობების გამო შეერყა ფიზიკური ჯამრთელობა.

სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავდა, ზრუნვის დაწესებულებაში, სისხლის სამართლის დანაშაულის გამო თავისუფლების ადეკვატის დაწესებულებაში მოთავსებული ან ჯამრთელობის ან სიცოცხლის საფრთხის გამო დაწესებულებაში მოთავსებული ნებისმიერი პირის არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. დიდმა პალატამ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა, ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნაზე მოცემულ ფსიქიატრიულ დაწესებულებასთან დაკავშირებით. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ არ დადგენილა ბულგარეთის ხელისუფლების განზრახვა არაადამიანური მოპყრობა განეხორციელებინა მომჩივანის მიმართ, საქმეში არსებული ყველა გარემოება ერთი-

29 Stanev v. Bulgaria (application no. 36760/06), ECtHR, 17 January 2012.



ანობაში, კერძოდ მისი საცხოვრებელი პირობები (საკვები არ იყო საკმარისი და იყო ცუდი ხარისხის, შენობა ადეკვატურად არ თბებოდა, მას შეეძლო მხოლოდ კვირაში ერთხელ ბანაობა არაჰიგიენურ აბაზანაში, ტუალეტები იყო მძიმე პირობებში) შვიდ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას და შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

სასამართლოს დიდმა პალატამ მოცემულ საქმეში აგრეთვე განიხილა კონვენციის მე-5 მუხლის **(თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება)** შესაძლო დარღვევა. სასამართლოს შეფასებით მე-3 მუხლთან ერთად მოცემულ საქმეში აგრეთვე დაირღვა მე-5 მუხლი, რადგან მომჩივანს უკანონოდ ჰქონდა თავისუფლება ადკვეთილი დაწესებულებაში მოთავსებით. მომჩივანის მოცემულ დაწესებულებაში მოთავსება არ იყო კანონიერი კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, რადგან არ ექცეოდა კონვენციის მოცემული მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე საფუძველში. ამასთან ერთად, სასამართლოს შეფასებით მომჩივანის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გარანტირებული უფლება, მისი თავისუფლების ადკვეთის კანონიერება შეეფასებინა სასამართლოს და მოეთხოვა კომპენსაცია უკანონო თავისუფლების ადკვეთის გამო.

● *L.R ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ (2020)³⁰*

საქმე *L.R ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ* შეეხებოდა რვა წლის ბავშვს, რომელიც სამი თვის ასაკიდან სახელმწიფოს ზრუნვის დაწესებულებაში იყო მოთავსებული. იგი გახლდათ სმენა დაკარგული და უჭირდა საუბარი. მის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა მოცემულ დაწესებულებაში. აღნიშნული ფაქტი დააფიქსირა ომბუდსმენმა დაწესებულებაში ვიზიტის დროს, როდესაც იგი ლოგინზე დაბმული ნახეს. მომჩივანის მტკიცებით, მის არასწორად დაუსვეს შეზღუდული შესაძლებლობის დიაგნოზი და შედეგად მოათავსეს დაწესებულებაში, სადაც მას ზრუნვის მაგივრად არაადამიანურად მოეპყრნენ. ამავე დროს, საჩივრის მიხედვით, არ მოხდა მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მიპყრობის ეფექტური გამოძიება.

სასამართლომ მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. სასამართლოს შეფასებით სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციით დაკისრებული ვალდებულება, რადგან მომჩივანი მოათავსეს ისეთ დაწესებულებაში, სადაც მისი საჭიროებები გათვალისწინებული არ იყო და იგი გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ არ მომხდარა მოცემული მოპყრობის ეფექტური გამოძიება. სასამართლომ განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა მომჩივანის მოწყვლადობის გამო, მისი ასაკის (რვა წლის), ფსიქიკური და სენსორული (გახლდათ სმენადაკარგული და არ შეეძლო საუბარი) შეზღუდული შესაძლებლობის გამო. დაწესებულებაში, წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში, ხშირად ხდებოდა მისი დაბმა ლოგინზე. გამოძიებას, იმის მაგივრად, რომ შეესწავლა სისტემური პრობლემა მოცემულ დაწესებულებაში, მხოლოდ მომჩივანის მომვლელების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე კონცენტრირდა და შედეგად დაადგინა მათი მხრიდან ბავშვისთვის ზიანის მიყენების განზრახვის არარსებობა .

30 L.R. v. North Macedonia (application no. 38067/15), ECtHR, 23 January 2020.



● *ასვატი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2013)*³¹

საქმეში - *ასვატი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, მომჩივანი გახლდათ პარანოიდული შიზოფრენიის მქონე პირი. იგი მოთავსებული იყო გაერთიანებული სამეფოს მაღალი უსაფრთხოების ფსიქიატრიულ სამედიცინო დაწესებულებაში. მას წარედგინა ბრალი ამერიკის შეერთებულ შტატებში - ორეგონის შტატში ჯიჰადის ბანაკის შექმნის გეგმის გამო და 2005 წელს იგი დააკავეს გაერთიანებული სამეფოს სამართალდამცავმა უწყებებმა, აშშ-ს ხელისუფლების მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე. მომჩივანმა მიმართა ევროპის სასამართლოს და ამტკიცებდა რომ მისი აშშ-ში ექსტრადიციის გამო იგი დაექვემდებარებოდა არაადამიანურ მოპყრობას. მისი განცხადებით, ამის მიზეზი იქნებოდა მოსალოდნელი თავისუფლების აღკვეთის პირობები (პოტენციურად გრძელი წინასწარი პატიმრობა და მისი მოთავსება „სუპერ-მაქსის“ საპატიმროში), რაც გაუარესებდა მის პარანოიდული შიზოფრენიის მდგომარეობას.

სასამართლომ შეისწავლა მხარეების მირ წარმოდგენილი ინფორმაცია, ამავე დროს გაითვალისწინა სამედიცინო მტკიცებულება, რომლის მიხედვით არსებობდა მომჩივანის მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის გაურესების რისკი აშშ-ში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში, რადგან მიმღებ ქვეყანაში მას არ ქონდა რაიმე სოციალური კავშირები და მოსალოდნელი იყო, რომ მას მოათავსებდნენ განსხვავებულ, მტრულ, საპატიმრო პირობებში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მომჩივანის აშშ-ში შესაძლო ექსტრადიციის შემთხვევაში.

● *დორდევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (2012)*³²

საქმეში - *დორდევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, სასამართლომ განიხილა საჩივარი დედის და მისი ფსიქიკური და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილის სახელით. მომჩივანი და მისი შვილი ოთხ წელზე მეტი ხნით განიცდიდნენ ფიზიკურ და ვერბალურ თავდასხმებს მათ სამეზობლოში მცხოვრები ბავშვების მხრიდან. მოცემულმა ქმედებებმა მომჩივანის შვილის ღრმა ადელვება, შიში და შფოთვა გამოიწვიეს. მიუხედავად წარდგენილი საჩივრისა, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ აღკვეთეს მოცემული ქმედებები. რამდენიმე შემთხვევის დროს ადგილზე პოლიცია გამოიძახეს. პოლიციის წარმომადგენლები გამოძახებიდან ხშირად გვიან ცხადდებოდნენ და რიგ შემთხვევაში მხოლოდ შემოიფარგლებოდნენ ბავშვებისთვის იმის თქმით, რომ დაშლილიყვნენ და ხმაური შეეწყვიტათ. პოლიციის წარმომადგენლებმა დაკითხეს რამდენიმე ახალგაზრდა და მიუხედავად იმისა, რომ დაადგინეს ძალადობრივი ქმედება მომჩივანის შვილის მიმართ, მათი ასაკის გათვალისწინებით არ ჩათვალეს რომ შესაძლებელი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სასამართლოს შეფასებით, მოცემული საქმე ეხებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას მოეხდინა რეაგირება სისხლისსამართლებრივი სფეროს გარეთ, როდესაც არსებობდა სერიოზული შევიწროების შესახებ ინფორმაცია ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული

31 Aswat v. the United Kingdom (application no. 17299/12), ECtHR, 16 April 2013.

32 Đorđević v. Croatia (application no. 41526/10), ECtHR, 24 July 2012.



შესაძლებლობების მეორე პირების მიმართ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მომჩივანის მიმართ, რადგან ხორვატიის ხელისუფლებამ არაფერი მოიმოქმედა, რათა შევიწროება შეწყვეტილიყო მიუხედავად იმისა, რომ კარგად ინფორმირებული იყო სისტემური თავდასხმების შესახებ და მომავალი ქმედებების გაგრძელების საშიშროება რეალურად მოსალოდნელი იყო.



● *H.L. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2004)*³³

საქმეში *H.L. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* მომჩივანი გახლდათ ბრიტანეთის მოქალაქე, რომელიც იყო დაბადებით აუტისტური სპექტრის მქონე, მას არ შეეძლო საუბარი და ჰქონდა აღქმის/გაგების შეზღუდული უნარი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 1997 წლის ივლისში, მომჩივანი იმყოფებოდა დღის ცენტრში, როდესაც დაიწყო საკუთარი თავისთვის დაზიანების მიყენება. ამ ფაქტის შედეგად, მომჩივანი გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულების ქვევითი აშლილობის განყოფილებაში როგორც „არაფორმალური პაციენტი“. მომჩივანმა ჯერ ადგილობრივ დონეზე, შემდეგ ევროპის სასამართლოში გაასაჩივრა მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა და ამტკიცებდა, რომ მისი, როგორც „არაფორმალური პაციენტის“, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას, იყო უკანონო და მისთვის ხელმისაწვდომი თავისუფლების აღკვეთის კანონიერების შემოწმების მექანიზმი არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეში პროცედურული რეგულაციების და შეზღუდვების არ არსებობის პირობებში, სამედიცინო დაწესებულების ექიმებმა მოწყვლადი, უმოქმედობაში მყოფი პირის მიმართ თავისუფლების სრული კონტროლი მოიპოვეს მხოლოდ მათივე კლინიკური შეფასების საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროცედურული გარანტიების არ არსებობის გამო, მომჩივანის დაცვა თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისგან ვერ იქნა უზრუნველყოფილი და შესაბამისად დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის (სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის კანონიერების დროული შესწავლა) დარღვევა, რადგან მომჩივანს არ მიეცა სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის კანონიერების შემოწმების პროცედურაზე მისაწვდომობა.

● *D.D. ლიეტუვას წინააღმდეგ (2012)*³⁴

მომჩივანი საქმეში - *D.D. ლიეტუვას წინააღმდეგ*, გახლდათ ლიეტუვას მოქალაქე, რომელიც დაავადებული იყო შიზოფრენიით. 2000 წელს, ცნეს მამინაცვალის შუამდგომლობის საფუძველზე, იგი ცნეს ქმედუნაროდ. შესაბამისად, მისი მამინაცვალი დაინიშნა მის სამართლებრივი მხარდამჭერად (მეურვედ), რომლის მოთხოვნითაც 2004 წელს, მომჩივანი მოათავსეს შესაბამის სამედიცინო ზრუნვის დაწესებულებაში. მომჩივანმა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ დონეზე დავის შემდეგ, მიმართა ევროპის სასამართლოს და ამტკიცებდა, რომ მისი მოთავსება ზრუნვის დაწესებულებაში მოხდა მისი ნების და შესაბამისი სასამართლო ზედამხვედველობის გარეშე.

33 H.L. v. the United Kingdom (application no. 45508/99), ECtHR, 5 October 2004.

34 D.D. v. Lithuania (application no. 13469/06), ECtHR, 14 February 2012.



სასამართლომ შეაფასა რა საქმის გარემოებები, დაადგინა რომ ადგილი არ ქონია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. სასამართლოს შეფასებით, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ, რომ დამაჯერებლად დადგინდა მომჩივანის ფსიქიკური აშლილობა, რაც განაპირობებდა მის სავალდებულო მოთავსებას მოცემული ტიპის დაწესებულებაში. მეტიც, სასამართლოს შეფასებით მოცემული უკიდურესი ღონისძიება ჩაითვალა პროპორციულად, რადგან სხვა - ალტერნატიული საშუალებები, ვერ აღწევდა დასახულ მიზანს. ამავე დროს, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა (თავისუფლების აღკვეთის კანონიერების დროულად, სასამართლოს მიერ განხილვის უფლება), რადგან როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა გამოხატოს მოსაზრება, მიუხედავად მისი სამართლებრივი მხარდამჭერის (მეურვის) მოთხოვნით, მისი ქმედუნარიანობისა და თავისუფლების შეზღუდვისა, მას, ცალკე სამართლებრივი წარმომადგენლობით, უნდა მიეცეს საშუალება მხარი დაუჭიროს (ან შეეწინააღმდეგოს) მოცემულ თავისუფლების აღკვეთას (მოთავსებას) სასამართლოს წინაშე.



- *მოსი საფრანგეთის წინააღმდეგ (2003)*³⁵

კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საკითხი განიხილა სასამართლომ საქმეში - *მოსი საფრანგეთის წინააღმდეგ*. მომჩივანი გახლდათ შშმ პირი, რომელმაც მიმართა ეროვნულ სასამართლო ორგანოებს მისი სამხედრო შშმ სტატუსიდან გამომდინარე პენსიის (invalidity pension) გაზრდის მოთხოვნით. პირველი სამართალწარმოება მომჩივანმა დაიწყო 1988 წელს და მოცემული პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა როდესაც ევროპის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, 15 წლის შემდეგ. მომჩივანის მიერ ინიცირებული მეორე პროცესი კი მოცემული გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის მიმდინარეობდა 8 წელზე მეტი ვადით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა სამართლებრივი განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. სასამართლოს შეფასებით, მოცემული კატეგორიის პენსია წარმოადგენდა მომჩივანის შემოსავლის დიდ ნაწილს. მომჩივანის მიერ ინიცირებული პროცედურა მიზნად ისახავდა მისი პენსიის გაზრდას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, შესაბამისად ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მისთვის და მოითხოვდა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ ფრთხილ და ყურადღებიან დამოკიდებულებას.

- *შტუკატუროვი რუსეთის წინააღმდეგ (2008)*³⁶

საქმე - *შტუკატუროვი რუსეთის წინააღმდეგ*, შეეხებოდა ფსიქიკური დაავადების მქონე პირს, რომელიც შშმ პირად ცნობილ იქნა 2003 წელს. 2004 წელს, მისი დედის მოთხოვნის შესაბამისად, მომჩივანი სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა ქმედუნაროდ. შესაბამისად, მის მხარდამჭერად (მეურვედ) ცნობილ იქნა მისი დედა, რომელმაც 2005 წელს მოათავსა მომჩივანი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. მომჩივანი ასაჩივრდება მისი ქმედუნაროდ ცნობას მისი ინფორმირების გარეშე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა მომჩივანის ქმედუნაროდ ცნობის პროცესის დროს. სასამართლომ, მოცემულ საქმეში კვლავ გაიმეორა, რომ როდესაც ხდება პირის მოთავსება სავალდებულო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ინტელექტუალური დაავადების მქონე პირს უშუალოდ უნდა მოუსმინონ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, გარკვეული ტიპის წარმომადგენლობის მეშვეობით. მოცემულ საქმეში სასამართლოს შეფასებით მომჩივანს, რომელიც მიუხედავად მისი დაავადებისა გარკვეული ავტონომიურობით ხასიათდებოდა, არ მიეცა საშუალება მონაწილეობა მიეღო მისი ქმედუნარიანობის შესახებ საკითხის განხილვის პროცესში. მოცემული სამართლებრივი პროცედურის, მომჩივანის პერსონალური

35 Mocie v. France (application no. 46096/99), ECtHR, 8 April 2003.

36 Shtukaturvov v. Russia (application no. 44009/05), ECtHR, 27 March 2008.



დამოუკიდებლობის და თავისუფლების კუთხით შესაძლო შედეგების გათვალისწინებით, სასამართლოს შეფასებით, მისი მონაწილეობა პროცესში მნიშვნელოვანი იყო არა მარტო იმისთვის, რომ მას ჰქონოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, არამედ იმიტომ, რომ განმხილველ მოსამართლეს დამოუკიდებლად შექმნოდა წარმოდგენა პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, რადგან ადგილობრივმა სასამართლომ მომჩივანის ქმედუნარიანობის საკითხი მხოლოდ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადაწყვიტა მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლით დაცული შეჯიბრობითობის პრინციპი. სასამართლოს შეფასებით მოცემულ საქმეში აგრეთვე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივანის ქმედუნაროდ ცნობა მოხდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების არაპროპორციული შეზღუდვით იმ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებაში რასაც ცდილობდა მიეღწია რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, კერძოდ სხვისი ინტერესების და ჯანმრთელობის დაცვა. მოცემული ჩარევის შედეგად მომჩივანი სრულად დაექვემდებარა მის მხარდამჭერზე ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და განუსაზღვრელი ვადით. მოცემული მდგომარეობის გადახედვა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი მხარდამჭერის (მეურვის) ინიციატივით, რომელიც სრულად ეწინააღმდეგებოდა ამას. ევროპის სასამართლომ მიუთითა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 23 თებერვლის no. R (99) 4. რეკომენდაციაზე ქმედუნაროდ მოზარდების სამართლებრივი დაცვის პრინციპების შესახებ, რომლის მიხედვით კანონმდებლობა უფრო მოქნილი უნდა იყო და სთავაზობდეს „მორგებულ“ რეაგირებას ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ამის მიუხედავად სასამართლოს შეფასებით რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობამ მხოლოდ გაითვალისწინა ორი მოდელი - სრული ქმედუნარიანობა და სრული ქმედუნარიანობა მენტალური დაავადების მქონე პირებისთვის და არ დაუშვა რაიმე შუალედური მიდგომები.

● ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ (2016)³⁷

საქმე - ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ, შეეხებოდა მომჩივანს, რომელიც 12 წლის ასაკში 30 დღით იყო თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვან ბრალდებულთა დროებით მოთავსების ცენტრში. მომჩივანს ჰქონდა ფსიქიკური და ნეიროქვევითი აშლილობა. მომჩივანის მტკიცებით, მის მიმართ განხორციელებული პროცედურა უსამართლო იყო, რადგან იგი პოლიციის განყოფილებაში დაიკითხა მისი კანონიერი წარმომადგენლის, იურისტის ან მასწავლებლის გარეშე და რადგან მას არ მიეცა საშუალება ჯვარედინად დაეკითხა მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი ორი მოწმე.

სასამართლოს შეფასებით მოცემულ საქმეში აგრეთვე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივანის ქმედუნაროდ ცნობა მოხდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების არაპროპორციული შეზღუდვით იმ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებაში რასაც ცდილობდა მიეღწია რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება. კერძოდ სხვისი ინტერესების და ჯანმრთელობის დაცვა. მოცემული ჩარევის შედეგად მომჩივანი სრულად გახდა დამოკიდებული მხარდამჭერზე ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, განუსაზღვრელი ვადით. ამასთან მოცემული მდგომარეობის გადახედვა შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი მხარდამჭერის (მეურვის) ინიციატივით. ევროპის სა-

37 Blokhin v. Russia (application no. 47152/06), ECtHR, 23 March 2016.



სამართლომ მიუთითა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 23 თებერვლის no. R (99) 4. რეკომენდაციაზე რომელიც საუბრობს ქმედუწარო მოზარდების სამართლებრივი დაცვის პრინციპებზე. აღნიშნული რეკომენდაციები განსაზღვრავს, რომ კანონმდებლობა უნდა იყოს მოქნილი და სთავაზობდეს „მორგებულ“ რეაგირებას ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ამის მიუხედავად, სასამართლოს შეფასებით რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობამ მხოლოდ ორი მოდელი გაითვალისწინა-სრული ქმედუწარიანობა და სრული ქმედუწარიანობა ფსიქიკური დარღვევის მქონე პირებისთვის და არ დაუშვა და გამოიყენა შუალედური მიდგომა.

● *ნიკოლიანი სომხეთის წინააღმდეგ (2019)*³⁸

საქმეში *ნიკოლიანი სომხეთის წინააღმდეგ* სასამართლომ განიხილა სომხეთის მოქალაქის საჩივარი, რომელმაც მიმართა ადგილობრივ სასამართლოს განქორწინების და მისი მეუღლის სახლიდან გასახლების საჩივრით, რადგან ამტკიცებდა, რომ მათი კონფლიქტური ურთიერთობა შეუძლებელს ხდიდა მათ თანაცხოვრებას. თუმცა, ადგილობრივმა სასამართლოებმა მისი საჩივარი არ განიხილეს, რადგან იგი გამოცხადებულ იქნა ქმედუწაროდ მისი მეუღლის და შვილის (რომლებიც მის ბინაში ცხოვრობდნენ) მიერ ინიცირებული პროცედურის შესაბამისად. მომჩივანის მტკიცებით, მისი ქმედუწაროდ გამოცხადების შემდეგ, მას არ ეძლეოდა უფლება წარმოდგენილი ყოფილიყო სასამართლოში მხარედ და შესაბამისად, არ შეეძლო მისი განქორწინების საჩივრის მხარდაჭერა და არც მისი ქმედუწაროდ ცნობის გადაწყვეტილების სასამართლოს გზით გასაჩივრება. მისი შეფასებით, ქმედუწაროდ ცნობა აგრეთვე არღვევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასაც.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეში მომჩივანის უფლების შეზღუდვა მიემართა სასამართლოსთვის მისი განქორწინების და გასახლების საჩივრის მხარდაჭერის და ქმედუწაროდ ცნობის აქტის გასაჩივრებისათვის წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას. სასამართლოს შეფასებით, მოცემული შეზღუდვა ეფუძნებოდა სომხეთის კანონმდებლობას, რომელიც ბლანკეტურ აკრძალვას ითვალისწინებდა ქმედუწარო პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის კუთხით. განხილულ საქმეში სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა მომჩივანის მხარდაჭერად (მეურვედ) დანიშნეს მისი შვილი, რომელთანაც კონფლიქტური ურთიერთობა ქონდა. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემით უფლება) დარღვევა, რადგან მომჩივანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა მოხდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს იყო აუცილებელი. მის მიმართ ქმედუწაროების გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ვადაგასულ ფსიქიატრიულ დასკვნას, მისი მენტალური მდგომაროების რაიმე დამატებითი შესწავლის გარეშე, აგრეთვე იმისა გაუთვალისწინებლად, რომ მას მსგავსი დაავადების სამედიცინო ისტორია არ ქონდა.

38 Nikolyan v. Armenia (application no. 74438/14) ECtHR, 3 October 2019.



● *გლაისენი შვეიცარიის წინააღმდეგ (2019)*³⁹

საქმეში - *გლაისენი შვეიცარიის წინააღმდეგ*, მომჩივანი გახლდათ შვეიცარიის მოქალაქე, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ქენევაში. იგი 1987 წლიდან იყო შშმ პირი, ქვედა კიდურებით პარალიზებული. 2008 წელს, მომჩივანმა თავად გადაწყვიტა ერთ-ერთ კინოთეატრში წასვლა ფილმის სანახავად. რადგან მოცემული კინოთეატრი არ იყო ადაპტირებული ეტლით მოსარგებლეთათვის, მომჩივანს უარი ეთქვა დაშვებაზე. კომპანიის წარმომადგენლები დაეყრდნენ შიდა უსაფრთხოების რეგულაციებს და უარი უთხრეს მომჩივანს მომსახურების გაწევაზე. მომჩივანმა დისკრიმინაციის დადგენის მიზნით მიმართა ადგილობრივ სასამართლოებს, რომლებმაც, ბოლო ინსტანციის ჩათვლით, უარი უთხრეს მას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ევროპის სასამართლომ მოცემული საჩივარი დაუშვებლად ცნო. სასამართლოს შეფასებით კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ შეიძლება ისე განიმარტოს, რომ მოითხოვდეს კონკრეტული კინო-თეატრისგან მისაწვდომობის უზრუნველყოფას იმ ფილმზე, რომელიც მახლობლად სხვა კინოთეატრებშიც მისაწვდომია. შშმ პირების უფლებების თვალსაზრისით, მოცემულ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის „საზოგადოებაში სრული და ეფექტური მონაწილეობის და ჩართულობის პრინციპზე“. ამის მიუხედავად, სასამართლოს მოსაზრებით კონვენციის მე-8 მუხლი მხოლოდ იმ საგამონაკლისო შემთხვევებში ვრცელდება, როდესაც საჯარო შენობებზე მისაწვდომობის შეუძლებლობა პირის ცხოვრებაზე ახდენს ისეთ გავლენას, რომ ეს ხელს უშლის მისი პერსონალური განვითარების უფლებას და სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების და განვითარების უფლებას.

● *ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2002)*⁴⁰

გადაწყვეტილება საქმეზე - *ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, საკმაოდ გახმაურებულია თანამედროვე ბრიტანეთის ისტორიაში. საქმე შეეხებოდა მომჩივანს, რომელიც დაავადებული იყო მოტორული ნიურონული დაავადებით, რომელიც უშუალო გავლენას ახდენდა კუნთების ფუნქციონირებაზე და არ არსებობდა აღნიშნული დაავადების მკურნალობის გზა. მომჩივანი განწირული იყო ნელი და მტანჯველი სიკვდილისთვის. ამის გამო მას გადაწყვეტილი ქონდა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება, მაგრამ მისი დაავადების გამო არ ქონდა საშუალება ეს დამოუკიდებლად გაეკეთებინა. მომჩივანი ევროპის სასამართლოში ასაჩივრდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უარს, არ მომხდარიყო მისი მეუღლის სისხლისსამართლებრივი ღვეწა, რომელიც უნდა დახმარებოდა მომჩივანს თვითმკვლელობაში (ევთანა-

39 Glaisen v. Switzerland (application no. 40477/13) ECtHR, 25 June 2019; იხილეთ აგრეთვე, Neagu v. Romania (application no. 49651/16) ECtHR, 29 January 2019.

40 Pretty v. the United Kingdom (application no. 2346/02) ECtHR, 29 April 2002.



ზიაში). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საკუთარი თავის თავისუფლად განვითარების უფლება დაცულია კონვენციით და განსაკუთრებით მისი მე-8 მუხლით. მისი მტკიცებით აღნიშნული უფლება მოიცავს საკუთარი სხეულთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რა უნდა მოუვიდეს მას და რაც მოიცავს იმის გადაწყვეტას როგორ და როდის უნდა გარდაიცვალოს.

სასამართლოს შეფასებით მიუხედავად იმისა, რომ აღრე მიღებულ გადაწყვეტილებებში არ დადგინდა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იცავს პირის თავისუფალი განვითარების უფლებას, სასამართლოსთვის პიროვნული ავტონომიის პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციით (და მისი მე-8 მუხლით) დაცული გარანტიების ინტერპრეტაციის დროს. სასამართლოს მოსაზრებით, სიცოცხლის მაღალი ღირებულების პრინციპის ყოველგვარი დაკნინების გარეშე, უნდა აღინიშნოს, რომ მე-8 მუხლით გარანტირებულია ხარისხიანი ცხოვრების პრინციპი და შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ მომჩივანის არჩევანის უფლების შეზღუდვა, რომ აიცილოს მისი ცხოვრების დამამცირებელი და დამთრგუნველი დასასრული, წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა მოცემულ საქმეში უნდა განხილულიყო კონვენციის მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხი

სასამართლომ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და მხარეთა მოსაზრებების განალიზების შემდეგ, არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლოს დასკვნით, კონვენციის მე-8 მუხლის შეზღუდვა შეიძლება დასაბუთებულ იქნეს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობით. უდავოა, რომ ტერმინალურად დაავადებულ პირთა მდგომარეობა შეიძლება განსხვავდებოდეს. უმეტესობა მათგანი მოწყვლადია და სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს სპეციალური რეგულაციის არსებობას. სასამართლოს დასკვნით, სწორედ ეროვნული ხელისუფლების გადასაწყვეტია იმ შესაძლო თვითნებობის კონკრეტული რისკების შეფასება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ევთანაზიასთან მიმართებაში ზოგადი აკრძალვის შემსუბუქებამ ან რაიმე გამონაკლისის დადგენამ.

● *R.R. პოლონეთის წინააღმდეგ (2011)*⁴¹

საქმე - **R.R. პოლონეთის წინააღმდეგ**, შეეხებოდა ორი შვილის დედის, ორსული ქალის საჩივარს, რომლის ნაყოფი დაავადებული იყო მძიმე გენეტიკური აშლილობით. მას ექიმებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აბორტს, განზრახ, დროულად არ მისცეს გენეტიკური ტესტის გაკეთების საშუალება. დაგვიანებული ტესტის გაკეთების შედეგად მომჩივან ქალს წაერთვა შესაძლებლობა მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება გაეგრძელებინა ორსულობა, თუ მოეთხოვა კანონიერი აბორტი, რადგან გავიდა კანონიერი აბორტის გაკეთების კანონით დადგენილი ვადა. შედეგად, მას შეეძინა ქალიშვილი პათოლოგიური ქრომოსომებით. მომჩივანის მტკიცებით მძიმედ დაავადებული ბავშვის გაზრდა და განათლების მიცემა დამაზიანებელი იყო მისთვის და მისი სხვა, ორი შვილისთვის. იგი მიატოვა ქმარმა, მათი მესამე შვილის დაბადების შემდეგ.

41 R.R. v. Poland (application no. 27617/04) ECtHR, 26 May 2011.



სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან პოლონეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ეფექტურ მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემდა მომჩივანს მისაწვდომობა ჰქონოდა დიაგნოსტიკურ სერვისებთან და ტესტის შედეგების შესაბამისად მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება განუხორციელებინა თუ არა აბორტი. იმის გათვალისწინებით, რომ პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა აბორტის შესაძლებლობას ნაყოფის განუვითარებლობის შემთხვევაში, უნდა არსებულიყო ადეკვატური სამართლებრივი და პროცედურული შესაძლებლობა, რომ ორსული ქალებისთვის გარანტირებული ყოფილიყო რელევანტური, სრული და სანდო ინფორმაციის მიღების საშუალება ნაყოფის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. სასამართლო არ დაეთანხმა პოლონეთის მთავრობის მოსაზრებას, რომ გენეტიკურ ტესტებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა აბორტზე მისაწვდომობას გულისხმობდა. სასამართლოს შეფასებით, ქალები სხვადასხვა მიზეზით მიმართავენ ტესტის გაკეთებას. ამასთან ერთად, სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია ეროვნული ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემის იმგვარად მოწყობა, რომ სამედიცინო პროფესიონალებს, მათი რწმენის თავისუფლების სარგებლობის გამო, პროფესიული ვალდებულების შესრულების დროს, არ შეუზღუდათ პაციენტებისთვის იმ სერვისებზე მისაწვდომობა, რაც მათთვის კანონით გარანტირებული იყო. სასამართლომ მოცემულ საქმეში აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

- *გლასი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2004)*⁴²

საქმე - *გლასი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, შეეხებოდა მომჩივანის (პირველი მომჩივანი) მძიმედ დაავადებული შშმ შვილის (მეორე მომჩივანი) მიმართ წამლის იძულების ადმინისტრირებას მისი (მშობლის) წინააღმდეგობის მიუხედავად. ექიმებმა, დედის ნების საწინააღმდეგოდ, წამალი შეუყვანეს ბავშვს, რომელიც იმყოფებოდა ტერმინალურ ფაზაში იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებინათ მისთვის ტკივილი. მეტიც, „არ მოხდეს რეანიმაცია“ მითითება გაკეთდა ბავშვის ფაილში მის დედასთან კონსულტაციის გარეშე. ამ მოვლენების დროს ბავშვის მშობელსა და ექიმებს შორის მოხდა კონფლიქტი სამედიცინო დაწესებულებაში. ბავშვმა გადალახა კრიზისი და გაწერილ იქნა სახლში. მომჩივანები ამტკიცებდნენ, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობამ და პრაქტიკამ ვერ უზრუნველყო ბავშვის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის გარანტირება.

სასამართლომ მოცემული საქმის ფაქტორივი გარემოებების და მხარეთა მოსაზრებების გაანალიზების შედეგად ჩათვალა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დედის წინააღმდეგობის გადალახვა ბავშვის შემოთავაზებული მკურნალობის მიმართ შესაბამისი სასამართლოს თანხმობის გარეშე წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. სასამართლოს შეფასებით, მომჩივანი ბავშვის მიმართ მოპყრობა წარმოადგენდა კონვენციით დაცული ფიზიკური ხელშეუხებლობის პრინციპის შეზღუდვას. მოცემული შეზღუდვა შეესაბამებოდა კანონს და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. რაც შეეხება მოცემული შეზღუდვის აუცილებლობას, სასამართლომ ვერ მიიჩნია მისთვის დასაბუთებულად ახსნილად, თუ რატომ არ მოითხოვა სამედიცინო დაწესებულებამ სასამართლოს ჩარევა მოცემული პროცესის საწყის ეტაპზე, დედის

42 Glass v. the United Kingdom (application no. 61827/00) ECHR, 9 March 2004.



წინააღმდეგობის გადასალახავად. მომავალი შესაძლო გართულებების თავიდან აცილების ინიციატივის ტვირთი ეკისრებოდა სამედიცინო დაწესებულებას. ამის მიუხედავად, ექიმებმა გამოიყენეს შეზღუდული დრო მათი მოსაზრებების დელაზე თავის მოხვევისათვის.

● **X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (1985)⁴³**

საქმე X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ შეეხებოდა ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოს საჩივარს, რომელიც გახდა გაუპატიურების მსხვერპლი მენტალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ზრუნვის სახლში. მომჩივანი გააუპატიურა მოცემული დაწესებულების ხელმძღვანელის ახლობელმა მეორე დღეს, რაც იგი გახდა თექვსმეტი წლის (ნიდერლანდებში კანონით გათვალისწინებული დასაშვები ასაკი ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირისთვის). მოცემული ფაქტის გამო მოხდა მომჩივანის ტრავმატიზება, მაგრამ მისი დაბალი მენტალური განვითარების გამო არ ჩაითვალა უფლებამოსილად, რომ წარედგინა ოფიციალური საჩივარი. მეორე მომჩივანმა - მამამ, მიმართა პოლიციას მისი შვილის სახელით, მაგრამ საჩივარი არ იქნა დაშვებული რადგან მსხვერპლ გოგოს თავად უნდა წარედგინა მოთხოვნა რეაგირებაზე. ადგილობრივი სასამართლოს დასკვნით, არსებობდა ხარვეზი კანონმდებლობაში.

სასამართლომ, მოცემული საჩივრის განხილვის დროს, ყურადღება გაამახვილა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებაზე, არა მარტო დაეცვათ ინდივიდი სახელმწიფო ორგანოების მიერ მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების თვითნებური შეზღუდვისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ მათზე დაკისრებულ ვალდებულებაზე მოეხდინათ მოცემული უფლების დაცვის ეფექტური დაცვის მექანიზმების შექმნა (პოზიტიური ვალდებულება). სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო სამართლით მინიჭებული შესაძლებლობა მომჩივანს მიეღო სამართლებრივი დაკმაყოფილება, არ იყო საკმარისი მის მიმართ ჩადენილი ქმედების უარყოფითი ეფექტის გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პირის პირადი ცხოვრების ფუნდამენტურ ღირებულებებთან და პრინციპებთან გვაქვს საქმე. ეფექტური რეაგირება და მომავალი მსგავსი ქმედებების პრევენცია, სასამართლოს აზრით, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით, რადგან მომჩივანი დარჩა დაუცველი ნიდერლანდების სისხლის სამართლის კანონის მხრიდან, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

43 X and Y v. the Netherlands (application no. 8978/80) ECHR, 26 March 1985.



● *სავინი უკრაინის წინააღმდეგ (2008)*⁴⁴

საქმე - *სავინი უკრაინის წინააღმდეგ*, შეეხებოდა ბავშვების საჯარო ზრუნვის სისტემაში მოთავსებას იმ საფუძვლით, რომ მათი მშობლები, რომლებიც მხედველობა და კარგულები იყვნენ, ვერ ახერხებდნენ მათზე ადეკვატური ზრუნვას და საცხოვრებელი უზრუნველყოფას. ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნეს მომჩივანების ფინანსური საშუალებების არ ქონაზე და მათი პირადი შეზღუდული შესაძლებლობების გამო მათი შვილების სიცოცხლის, ჯანმრთელობის და მორალური აღზრდის საფრთხეზე. მათ არ შეეძლოთ შვილების შესაბამისი საკვებით, ტანსაცმლით, ჰიგიენის საშუალებებითა და ჯანმრთელობაზე ზრუნვით უზრუნველყოფა, აგრეთვე მათთვის დახმარების გაწევა, რათა მომხდარიყო სოციალურ და საგანმანათლებლო კონტექსტში მათი ადაპტირება.

მომჩივანების თხოვნის საფუძველზე, ფაქტობრივი გარემოებების და მხარეთა მოსაზრებების შესწავლის შედეგად, სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან არ მიიჩნია ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოყენებული მტკიცებულებები ადეკვატურად, რომლითაც შეფასდა ბავშვების ცხოვრების პირობები და დადგინდა მათ მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის არსებობა. სასამართლოს შეფასებით, ადგილობრივმა სასამართლოებმა განიხილეს მხოლოდ ის სირთულები, რომელთა გადალახვა შესაძლებელია მომხდარიყო გამიზნული ფინანსური და სოციალური დახმარების, აგრეთვე ეფექტური კონსულტირების გზით და არ გაანალიზეს სიდრმისეულად, თუ მომჩივანთა შეუცვლელი შეზღუდული შესაძლებლობის რა ნაწილს შეეძლო უარყოფითი გავლენის მოხდენა ბავშვების აღზრდის ადეკვატურობაზე. საქმეში, სასამართლომ ვერ დაინახა მშობლების პასუხისმგებლობის შესრულების შეუძლებლობის დამოუკიდებელი ექსპერტის (ასე მაგალითად ფსიქოლოგის) მიერ, რომელსაც ასევე შეეძლო შეეფასებინა მომჩივანთა ემოციური ან მენტალური სიმწიფე, ან მათი ოჯახური სირთულებების გადალახვის მოტივაცია. ადგილობრივმა სასამართლოებმა აგრეთვე არ გაანალიზეს მომჩივანთა სიტუაციის გამოსწორების მცდელობები. დასასრულს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოცემული პროცესის არც ერთ ეტაპზე ბავშვები არ იქნენ მოსმენილი მოსამართლეების მიერ. მეტიც, არა მარტო ბავშვების დაშორება მოხდა მათი მშობლებისგან, ისინი ასევე მოათავსეს სხვადასხვა დაწესებულებაში.

● *სინტია რუმინეთის წინააღმდეგ (2020)*⁴⁵

საქმეში - *სინტია რუმინეთის წინააღმდეგ* მომჩივანი, გახლდათ რუმინეთის მოქალაქე. 2018 წელს, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს, რათა მიეღო თანხმობა მისი ოთხი წლის ქალიშვილის მასთან ცხოვრების უფლების მინიჭებაზე, მანამ, სანამ იხილებოდა მისი მეუღლესთან განქორწინების საკითხი, ან მომხდარიყო მისი ქალიშვილის მის სახლში პერიოდული ნახვის (წამოყვანის) უფლების მინიჭება. მომჩივანს და მის მეუღლეს (განქორწინების პროცესში) ჰქონდათ ფსიქიკური პრობლემები, თუმცა განქორწინების საკითხის განხილვის დროს, მომჩივანის მეუღლე აღარ იყო რეგისტ-

44 Saviny v. Ukraine (application no. 39948/06) ECtHR, 18 December 2008.

45 Cînta v. Romania (application no. 3891/19) ECtHR, 18 February 2020;



რირებული, როგორც ფსიქიკური დაავადების მქონე პირი. სასამართლომ, მომჩივანს მისცა, კვირის გარკვეულ დღეებში, შეზღუდული დროით, საჯარო ადგილას და დედის დასწრებით, მისი ქალიშვილის მონახულების უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქალიშვილს უნდა ეცხოვრა დედასთან და მომჩივანს უნდა გადაეხადა შესაბამისი ხარჯი. ადგილობრივი სასამართლო დაეყრდნო სამედიცინო მტკიცებულებებს, რომლის მიხედვით მომჩივანი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით, აგრეთვე დედის ჩვენებას, რომელიც აცხადებდა, რომ მომჩივანი იყო ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად აგრესიული მის მიმართ, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო. უშუალოდ ქალიშვილი და სხვა ახლობლებიც დაიკითხნენ სასამართლოს მიერ. მომჩივანმა გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება ზედა ინსტანციაში, მაგრამ ის შეუცვლელი დარჩა.

ევროპის სასამართლომ განიხილა ფაქტობრივი ინფორმაცია, მხარეთა მოსაზრებები და დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის და კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-8 მუხლთან ერთად, დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები, მომჩივანის მიერ ქალიშვილთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ, ნაწილობრივ ეფუძნებოდა მის ფსიქიკურ დაავადებას. ადგილობრივმა სასამართლოებმა არსებითად არ გაანალიზეს, თუ რატომ შეიძლება მომჩივანის ფსიქიკური ჯანმრთელობა გამხდარიყო მისი ქალიშვილთან კონტაქტის შეზღუდვის საფუძველი, როდესაც არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ მას არ შეეძლო ეზრუნა მის ქალიშვილზე. სასამართლოებმა სათანადოდ არ შეისწავლეს ბრალდება, რომ ბავშვი არ იქნებოდა უსაფრთხოდ მისი ზრუნვის ქვეშ; აგრეთვე არ მოხდა იმის დემონსტრირება, რა გზით იქნა გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. რაიმე ტიპის ალტერნატიული მექანიზმიც არ იქნა შესწავლილი. ევროპის სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ მომჩივანს ჰქონდა ფსიქიკური დაავადება, თავისთავად არ ასაბუთებდა მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას სხვა მშობლებისგან განსხვავებით, რომლებიც ითხოვდნენ შვილებთან კონტაქტის უფლების მიღებას. მისი კონტაქტის უფლება შეიზღუდა, როდესაც ადგილობრივმა სასამართლოებმა მოახდინეს მის მიმართ განსხვავებული მოპყრობა მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო, რაზეც არ წამოადგინეს რელევანტური და შესაბამისი მიზეზები. მოცემულ საქმეში, მომჩივანი ამტკიცებდა *prima facie* დისკრიმინაციის შემთხვევას, რაზეც მოპასუხე სახელმწიფომ საწინააღმდეგო ვერ დაამტკიცა.



- **ლაშინი რუსეთის წინააღმდეგ (2013)⁴⁶**

საქმეში - **ლაშინი რუსეთის წინააღმდეგ**, მომჩივანი გახლდათ შიზოფრენიით დაავადებული პირი, რომელიც ქმედუნაროდ ცნეს 2000 წელს. 2002 წელს, მან და მისმა საცოლემ, მათი ქორწინების რეგისტრაციის თხოვნით, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს მიმართეს. თუმცა, მათ თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ, რადგან რუსეთის საოჯახო კოდექსი კრძალავდა ფსიქიკური აშლილობის გამო ქმედუნარო პირების ქორწინებას.

სასამართლომ, მოცემულ საქმეში, უპირველეს ყოვლისა, დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა, რადგან, მისი მოთხოვნის მიუხედავად, არ მოხდა მისი ქმედუნარობის სტატუსის გადახედვა 2002 და 2003 წელს. კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის შემდეგ ევროპის სასამართლომ აღარ ჩათვალა საჭიროდ კონვენციის მე-12 მუხლის დაზღვევის ცალკე განხილვა. მომჩივანისთვის ქორწინების შესაძლებლობის არქონა გახლდათ მისი ქმედუნარობის სტატუსის შენარჩუნების ერთ-ერთი სამართლებრივი შედეგი.

- **დელეკოლი საფრანგეთის წინააღმდეგ (2018)⁴⁷**

საქმე - **დელეკოლი საფრანგეთის წინააღმდეგ**, შეეხებოდა დამცავი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მომჩივანის უფლებას, დაქორწინებულიყო მისი ზედამხედველის ან მხარდამჭერი (მეურვე) მოსამართლის თანხმობის გარეშე.

სასამართლომ მოცემულ საქმეში არ დაადგინა კონვენციის მე-12 მუხლის (ქორწინების უფლება) დარღვევა. სასამართლოს შეფასებით ქორწინების უფლების შეზღუდვა ეროვნული კანონმდებლობით არ უნდა ზღუდავდეს მოცემულ უფლებას იმგვარად, რომ მთავარი არსი დაუკარგოს მოცემულ უფლებას. მოცემულ საქმეში, სასამართლოს შეფასებით, მომჩივანის ქორწინების უფლების შეზღუდვა არ იყო თვითნებური ან არაპროპორციული.

46 Lashin v. Russia (application no. 33117/02) ECtHR, 22 January 2013.

47 Delecalle v. France (application no. 37646/13) ECtHR, 25 October 2018.



● *კუა ჰუარუზი საფრანგეთის წინააღმდეგ (2003)*⁴⁸

საქმეში - *კუა ჰუარუზი საფრანგეთის წინააღმდეგ*, მომჩივანი გახლდათ სპილოს ძვლის ნაპირის მოქალაქე, რომელიც შვილად აიყვანა საფრანგეთის მოქალაქემ. იგი გახლდათ მძიმე ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვიდი წლის ასაკიდან. საფრანგეთის ხელისუფლებამ მომჩივანზე გასცა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ იგი იყო 80% შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. 1990 წელს, შესაბამისმა ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანომ უარი უთხრა მომჩივანს შშმ პირის ფინანსური დახმარების (disabled adult's allowance (D.A.A.) დანიშვნაზე, რადგან ის არ გახლდათ საფრანგეთის მოქალაქე და არ არსებობდა მოცემული დახმარების შესახებ ორმხრივი შეთანხმება საფრანგეთსა და სპილოს ძვლის ნაპირის სახელმწიფოსთან. მომჩივანმა წარუმატებლად გაასაჩივრა მოცემული გადაწყვეტილება ადგილობრივ სასამართლოებში.

ევროპის სასამართლოს შეფასებით, ისეთ შემწეობაზე, რომელიც შენატანთან არ არის დაკავშირებული (non-contributory benefit), როგორცაა შშმ პირის ფინანსური დახმარება, ვრცელდება ქონებრივი უფლებები კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) შესაბამისად. სასამართლოს დასკვნით, მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან ერთად. კერძოდ, სასამართლოს შეფასებით, არ იქნა წარმოდგენილი რაიმე ობიექტური ან გონივრული დასაბუთება საფრანგეთის და სხვა ქვეყნების (რომელთაგანაც ხელმოწერილია ორმხრივი ვალდებულების შეთანხმება) მოქალაქეების განსხვავებული მოპყრობის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვის დროს საფრანგეთს მსგავსი ორმხრივი ვალდებულების ხელშეკრულება არ ჰქონდა სპილოს ძვლის ნაპირის სახელმწიფოსთან ხელმოწერილი, საფრანგეთმა, მოაწერა რა ხელი კონვენციას, აიღო ვალდებულება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის უფლებების დაცვის შესახებ - მომჩივანი უდავოდ ექცეოდა საფრანგეთის იურისდიქციის ქვეშ.

● *დრაონი საფრანგეთის წინააღმდეგ და მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (2005)*⁴⁹

საქმეები - *დრაონი საფრანგეთის წინააღმდეგ და მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ*, შეეხებოდა მომჩივნებს, რომლებიც იყვნენ მძიმე ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები. მოცემული ინტელექტუალური დარღვევები სამედიცინო შეცდომის გამო არ იქნა აღმოჩენილი დაბადებამდე სამედიცინო შემოწმების დროს. მომჩივანებმა, მოცემული სამედიცინო შეცდომის გამო, სა-

48 Koua Poirrez v. France (application no. 40892/98) ECtHR, 30 September 2003.

49 Draon v. France and Maurice v. France (application no. 1513/03 and 11810/03) ECtHR, 6 October 2005.



მედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ წარადგინეს საჩივრები სასამართლოში. მათი საჩივრების განხილვის დროს, ახალი კანონის საფუძველზე, მომჩივანებს მხოლოდ არამატერიალური ზიანისთვის მიეცათ კომპენსაცია და არა რეალური ხარჯის გამო, რაც მათ გასწიეს მათი შვილების შეზღუდული შესაძლებლობების გამო.

მოცემულ საქმეებში, ევროპის სამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია ახალი კანონი, რომელსაც უკუძალა ჰქონდა და აუქმებდა მომჩივანების სამართლებრივი მოთხოვნის მნიშვნელოვან ნაწილს იმ ზიანისთვის, რომელიც მათ მიადგათ და ჰქონდათ სამართლებრივი მოლოდინი სამართლიანი დაკმაყოფილების კუთხით არღვევდა კონვენციით დაცულ საკუთრების უფლებას.

- ბელანე ნაგი უნგრეთის წინააღმდეგ (2016)⁵⁰

საქმეში - **ბელანე ნაგი უნგრეთის წინააღმდეგ**, მომჩივანი ამტკიცებდა რომ მან დაკარგა მისი შშმ პენსიის მიღების უფლება ახლად დამტკიცებული მისაწვდომობის კრიტერიუმის გათვალისწინებით. მომჩივანის მტკიცებით მან დაკარგა მისი ერთადერთი შემოსავალი რაც ადრე პენსიით იყო უზრუნველყოფილი, მიუხედავად იმისა რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთივე ცუდ მდგომარეობაში იყო როდესაც იგი პირველად ცნეს შშმ პირად.

მოცემულ საქმეზე სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა. სასამართლოს შეფასებით მომჩივანს ქონდა ლეგიტიმური მოლოდინი რომ ის მიიღებდა პენსიას თუ დააკმაყოფილდება იმ კრიტერიუმებს რაც დადგენილი იყო ძველი კანონმდებლობით. მის მიმართ დახმარების მიცემა ეფუძნებოდა კანონს და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს (საჯარო ფინანსების დაზოგვა). თუმცა, სასამართლოს დასკვნის მოცემული ქმედება არ იყო პროპორციული. კერძოდ, არაპროპორციულობა გამოიხატებოდა იმაში რომ მოწყვლად პირს ერთმეოდა შემოსავლის ერთდერთი მნიშვნელოვანი წყარო რაც გამოწვეული იყო უკუმოქმედების მქონე კანონით, რომელიც თავის მხრივ არ ითვალისწინებდა რაიმე დამცავ ღებულებებს მომჩივანის შემთხვევებისთვის.

50 Béláné Nagy v. Hungary (application no. 53080/13) ECtHR, 13 December 2016.



● *ენვერ შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (2018)*⁵¹

საქმეში - *ენვერ შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ*, მომჩივანი გახლდათ თურქეთი მოქალაქე, რომელსაც ქონდა ქვედა კიდურების პარალიზება და არ მიეცა საშუალება ესწავლა უნივერსიტეტში შესაბამისი შენობის ინფრასტრუქტურული მოწყობის გამო. მომჩივანმა მოითხოვა შესაბამისი შენობის ადაპტირება, თუმცა მას უარი ეთქვა მოცემული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი განათლების უფლება არაპროპორციულად შეიზღუდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთად დარღვევას. სასამართლოს შეფასებით, თურქეთის ხელისუფლებამ არ აჩვენა რომ ხელისუფლების ორგანოებმა, კერძოდ კი სახელმწიფო უნივერსიტეტმა და შესაბამისმა ადგილობრივმა სასამართლო ორგანოებმა, შესაფერისი სიფრთხილით და ყურადღებით იმოქმედეს, რათა უზრუნველყოთ მომჩივანის მიერ სხვა სტუდენტებთან თანასწორად განათლების მიღება. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის რექტორის ოფისის შეთავაზება მომჩივანისთვის, რომ მას გამოუყოფდნენ დამხმარეს, არ ეფუძნებოდა მომჩივანის რეალური საჭიროებების ადეკვატურ შეფასებას და მისი უსაფრთხოებაზე, ღირსებასა და დამოუკიდებლობაზე გავლენის გათვალისწინებას. სასამართლოს შეფასებით, ადგილობრივმა სასამართლო ორგანოებმა არ შეისწავლეს რამდენად იქნა სწორი ბალანსი დაცული მომჩივანის (მის საგანმანათლებლო საჭიროებებს) და ზოგადად, საზოგადოების ინტერესებს შორის. მათ არ განიხილეს შესაძლო გამოსავლის გზები ისე, რომ მომხდარიყო მომჩივანის მიერ განათლების მიღება სხვა სტუდენტებთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ისე, რომ არ დაკისრებოდა შეუძლებელი ტვირთი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

● *დუპენი საფრანგეთის წინააღმდეგ (2018)*⁵²

საქმეში - *დუპენი საფრანგეთის წინააღმდეგ*, მომჩივანი გახლდათ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვის დედა. მომჩივანი ასაჩივრებდა ხელისუფლების ორგანოების უარს, დაემვათ მისი შვილი საჯარო სკოლაში. იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა მისი პოზიტიური ვალდებულება მიეღო ყველა საჭირო ზომა შშმ ბავშვების დასაცავად და განათლების უფლების შეზღუდვა წარმოადგენდა დისკრიმინაციას.

სასამართლომ მოცემული საჩივარი დაუშვებლად ცნო. მისი შეფასებით ბავშვის დაუშვებლობა საჯარო სკოლის სისტემაში თავისთავად არ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას პირველი დამატებითი ოქმის

51 Enver Şahin v. Turkey (application no. 23065/12) ECtHR, 30 January 2018.

52 Dupin v. France (application no. 2282/17) ECtHR, 18 December 2018.



მე-2 მუხლის შესაბამისად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა ბავშვის მდგომარეობა მიიჩნიეს მისი საჯარო განათლების სისტემაში განათლების მიღების ბარიერად. იმ ბალანსის გაანალიზებით, თუ რა ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდა ბავშვს და რა სარგებელს მიიღებდა ინკლუზიური განათლების მიხედვით, ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის სასარგებლოდ. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მოცემული მიდგომის მომხრე იყო ბავშვის მამა, რომელსაც ჰქონდა მზრუნველობა ბავშვზე. 2013 წლიდან, ბავშვი იღებდა ეფექტურ საგანმანათლებლო მხარდაჭერას სპეციალური სამედიცინო და საგანმანათლებლო საჭიროებების ინსტიტუციიდან და მისი განათლების მიღების ფორმა შეეფერებოდა მის პერსონალურ განვითარებას.



● ალაიოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ (2010)⁵³

საქმეში - ალაიოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ, მომჩივანი გახლდათ ფსიქიკური დაავადების მქონე უნგრეთის მოქალაქე. იგი მოცემული დაავადების მქონე იყო 1991 წლიდან და ნაწილობრივი მხარდაჭერის (მეურვეობის) ქვეშ იქნა მოქცეული 2005 წლიდან. 2006 წელს მომჩივანს არ მიეცა საშუალება ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მიეღო მონაწილეობა (მიეცა ხმა), რადგან მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, მას როგორც მხარდაჭერის მიმღებ პირს, შეზღუდული ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

სასამართლომ, მოცემულ საქმეში, დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, კონვენციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა საარჩევნო უფლების სრული/ბლანკეტური შეზღუდვა, ინდივიდუალური სასამართლო შეფასების გარეშე, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობები განაპირობებენ მხარდაჭერის (მეურვეობის) საჭიროებას. სასამართლოს დასკვნით, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ საკმაოდ სერიოზული მიზეზები, როდესაც აწესებენ ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობაზე შეზღუდვას საზოგადოების ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორცაა ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არიან საკანონმდებლო სტერეოტიპების რისკის ქვეშ, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების შეფასების გარეშე. მომჩივანმა მისი არჩევნებში მონაწილეობის უფლება (ხმის მიცემის უფლება) დაკარგა ავტომატურად, ბლანკეტური შეზღუდვით. საკმაოდ საეჭვო იყო ფსიქიკური ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთ კლასად განხილვა და მათი უფლებების შეზღუდვა უნდა დაქვემდებარებოდა მკაცრ შემოწმებას.

53 Alajos Kiss v. Hungary (application no. 38832/06) ECtHR, 20 May 2010.





